# დღეიდან საქართველოს ახალი სახალხო ხელისუფლება ჰყავს, რომელმაც ქვეყანაში სამართლიანობაზე დაფუძნებული უტყუარი დემოკრატია, თავისუფლება და საყოველთაო კეთილდღეობა უნდა დაამკვიდროს!..


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012 წელი.

№206 (7082)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ქურდობით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ჩვენი ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და პირველ რიგში თავი უნდა დავაღწიოთ ამ გაჭირვებას. ეს არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ამოცანა

(2-6)




**გუშინ, 25 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სიტყვით წარსდგა, რომელსაც დღეს გთავაზობთ**

## აბრა სხვაა, საქმე – სხვა,

ანუ ქვეყნის ეკონომიკა უკან მიდის, მსოფლიო ბანკი კი გვაქებს

(9)

## ყოფილი მოსამართლეები – კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ

(10)

# ჩვენი ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და პირველ რიგში თავი უნდა დავაღწიოთ ამ გაჭირვებას. ეს არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ამოცანა

**გუშინ, 25 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სიტყვით წარსდგა, რომლის სრულ ტექსტს ქვემოთ ვაქვეყნებთ**



მოგესალმებით, ბატონებო!

უნდა მოგილოცოთ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში - ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა! ჩვენს ქვეყანაში ამის პრეცედენტი შეიქმნა.

პატივცემულო დეპუტატებო!

გილოცავთ ახალი, მე-8 მოწვევის პარლამენტის შეკრებას და გისურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას.

უნდა მივულოცო საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, ვინც 1 ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნების გზით გამოხატა თავისი ნება და აირჩია ახალი ხელისუფლება.

უნდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ხალხს, ამ ცვლილებების მთავარ შემოქმედს, რომელმაც სამოქალაქო გმირობის ტოლფასი საქციელი ჩაიდინა, თავისი ღირსეული სიტყვა თქვა და ხმა მისცა სიახლეს, რომლითაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო.

უნდა შევეხმიანო იმ ადამიანებს, რომლებმაც განსხვავებული პოზიცია დაადასტურეს არჩევნებში, მაგრამ, მჯერა, რომ ისინი, როგორც ამ ქვეყნის შვილები, მხარს დაუჭერენ საქართველოს წინსვლას და გაიხარებენ ჩვენთან ერთად. მათ მინდა იცოდნენ, რომ ჩვენ ამ ქვეყნის — საქართველოს — ხელისუფლება ვართ და ყველა ადამიანი, საქართველოს თითოეული მოქალაქე, მიუხედავად მისი პოლიტიკური პოზიციისა, ძვირფასია ჩვენთვის! ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა ჩვენიანებად და სხვებად საკუთარი მოქალაქეების დაყოფა.

ყოველთვის ვაცხადებდით, და ახლაც უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობა არ დაუშვებს პოლიტიკური ნიშნით დევნას, ეს ამბავი საქართველოში ისტორიას ჩაბარდა!

უნდა განსაკუთრებით აღვნიშნო ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების, საერთაშორისო თანამეგობრობის როლი, რომელიც მათ ჩვენი ქვეყნისათვის ამ გადამწყვეტ ეტაპზე შეასრულეს - პატივი სცეს ქართველი ხალხის არჩევანს და ამით მხარი დაუჭირეს ჩვენს ქვეყანას და არა რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს.

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ თავისი არჩევანით მხარი დაუჭირა ჩვენს პოლიტიკურ გუნდს და ქვეყანაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას.

ასეთი დიდი ნდობა და ცვლილებების მოლოდინი ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. მე და ჩემი გუნდი ვიღებთ ამ პასუხისმგებლობას, ჩვენ მზად ვართ ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და თავდაუზოგავად ვიშრომოთ, რათა თავი დავაღწიოთ წარსულის მძიმე მემკვიდრეობას.

ჩვენმა ხალხმა მიაღწია თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლებასთან ერთად ხალხმა კეთილდღეობაც უნდა იგრძნოს და რაც შეიძლება სწრაფად.

ჩვენი ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და ჩვენ, პირველ რიგში, თავი უნდა დავაღწიოთ ამ გაჭირვებას. ეს არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ამოცანა, რადგან სხვაგვარად ქვეყნის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩვენი მთავრობისთვის მთავარი ღირებულება არის ადამიანი, ჩვენი სამთავრობო პროგრამა სწორედ ამ პრინციპით არის შემუშავებული. ჩვენ ვიზრუნებთ თითოეულ ადამიანზე, ყველა დანაპირებს შევასრულებთ და დავუმტკიცებთ ჩვენს ხალხს, რომ ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება ვართ.

ჩვენ ვიზრუნებთ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო ჩადგეს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების რიგში.

ჩვენ დავამკვიდრებთ კანონის უზენაესობას და აღვადგენთ სამართლიანობას ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ დარჩება დაუსჯელი.

ყველა, ვისაც უკანონობაში აქვს მონაწილეობა მიღებული, პასუხს აგებს კანონის წინაშე, კიდევ ვიმეორებ — მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით.

შესწავლილი იქნება საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები.



* * *

ჩვენი მთავრობა განახორციელებს ფართომასშტაბიან რეფორმებს ყველა სტრატეგიული მიმართულებით და ჩვენი პოლიტიკა დაეფუძნება საქართველოს მოსახლეობის მიერ მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს.

მოქალაქეები აქტიურად იქნებიან ჩაბმული სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში და სწორედ ეს გახდება ჩვენი მთავრობის მუშაობის უმთავრესი საფუძველი.

2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებს ჩვენს ქვეყანაში სრულიად მახინჯი მმართველობა მოჰყვა და ამის შედეგებს ჩვენ ახლა ვიმკით. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ერთპიროვნული ან ერთპარტიული მმართველობა, ახლავე, ამ ეტაპზე საჭიროა კონსტიტუციის შესაბამისი ნაწილის შეცვლა და სახელმწიფო მმართველობის სათანადო მოდელის შემოღება.

თუმცა, ამ ცვლილებასაც და სამომავლოდ კონსტიტუციური მოწყობის საბოლოო გადაწყვეტილებასაც ჩვენ მივიღებთ მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი განხილვისა და სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად გავითვალისწინებთ ყველა გონივრულ მოსაზრებასა და ინტერესს.

კონსტიტუციით იქნება დადგენილი ისეთი მმართველობის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურობას.

ამასთან ერთად, პოლიტიკურ ოპოზიციასაც მიეცემა ბერკეტები, რომლებიც მას საშუალებას მისცემს რეალურად გააკონტროლოს ხელისუფლების საქმიანობა.

ჩვენი ხელისუფლება აამოქმედებს სახელმწიფო ორგანოთა დაბალანსებულ და გაწონასწორებულ მოდელს, უზრუნველყოფს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობას.

პარტიების დაფინანსების სისტემა შეიცვლება ისე, რომ მათ შეძლონ პოლიტიკური საქმიანობა და სა-

№206. პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012 წელი.

არჩევნო კამპანიის სრულფასოვნად წარმართვა.

საქართველოში განვითარდება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტები. ჩვენი მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს რეგიონალური პოზიციების გამყარებას, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით.

დაიწყება და შეუქცევადი გახდება ქვეყნის გამთლიანების პროცესი. ჩვენი მთავარი მიზანი იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, ამასთან ერთად, ჩვენ მოვძებნით გზებს აფხაზებსა და ოსებთან სალაპარაკოდ.

ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მივაღწევთ რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებას ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მიმართულებით.

* * *

ხელისუფლების ეფექტიანი მუშაობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიულ თვითმმართველობას. ძლიერი თვითმმართველობის პირობებში ყველა მოქალაქეს ექნება იმის საშუალება, რომ საკუთარი ინტერესები გამოხატოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში.

ამ დღეებში მოვისმინეთ პრეზიდენტის ინიციატივა გუბერნატორების, მერებისა და გამგებლების პირდაპირი გზით არჩევის შესახებ.

ახლა არ დავიწყებ ამ ინიციატივის შეფასებას, თუმცა ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობა წლების განმავლობაში სრულიად საპირისპიროდ მოქმედებდა და დეცენტრალიზაციის ნაცვლად მკვეთრად ცენტრალიზებული მმართველობის ვერტიკალს ქმნიდა.

ჯერ კიდევ 2005 წელს საპარლამენტო ოპოზიცია გამოვიდა დეცენტრალიზაციის ინიციატივით, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ მაშინ დაბლოკა ეს ინიციატივა.

ჩვენი გუნდის მიზანია რეალური თვითმმართველობის ამოქმედება და ეს წინასაარჩევნო პროგრამაშიც არის ასახული. ჩვენ თვითმმართველობის ამოქმედებას ეტაპობრივად ვგეგმავთ, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის მმართველობის სრული დეცენტრალიზაციით დასრულდება.

თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემათ შესაბამისი უფლებამოსილება, ფინანსები და საკუთრება, მათ ეყოლებათ არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. ყოველ თვითმმართველ ერთეულში გაიხსნება მომსახურების ცენტრი, რომელსაც ექნება მოქალაქისთვის საჯარო მომსახურების გაწევის ფუნქციები.

რამდენჯერმე გაიზრდება თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლები. თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება, მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არაპრივატიზებული როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების დიდი ნაწილი.

პირველ ეტაპზე განისაზღვრება ყოველი დასახლების - სოფლის, დაბის, ქალაქის - იურიდიული სტატუსი. მათ საკუთრებაში გადაეცემათ არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი მიწა, წყალი და უძრავი ქონება. ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსახლეობასთან თანამშრომლობით შეიქმნება თემები.

ქალაქებსა და თემებში, სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით, შეიქმნება ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოების, მერების და გამგებლების სახით. თვითმმართველ თემებში შემავალ სოფლებს ეყოლებათ არა დანიშნული, არამედ მათ მიერ არჩეული მამასახლისი.

* * *

ჩვენი მთავრობა იქნება გარანტი იმისა, რომ მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები იქნება ხელშეუხებელი, დამკვიდრდება კანონის უზენაესობა, გარდაუვალი გახდება დანაშაულისათვის სასჯელი და ბოლო მოეღება პოლიტიკური ნიშნით დევნას.

ჩვენი ხელისუფლება გაატარებს სასამართლო რეფორმას, სასამართლო ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდება პოლიტიკური ხელისუფლების ზეგავლენისაგან. მართლმსაჯულება გახდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და ამოქმედდება ქმედითი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები.

ჩვენ მივაღწევთ სასამართლოს ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობას, მათ შორის, სასამართლოს ფინანსური დამოუკიდებლობითაც. ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნებაა სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების მთელი პროცესის საჯაროობა და ჩვენ შევქმნით ამის პირობებს.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში გაფართოვდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და შეიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი.

ჩვენ რეალურად განვახორციელებთ სამართლიანი სასჯელის პოლიტიკას. გამოირიცხება დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნა მხოლოდ შეკრების წესით და გათვალისწინებული იქნება სამართლიანი სასჯელის დანიშვნის საუკეთესო მოდელები.

დადგინდება სასჯელად გამოყენებული ფულადი ჯარიმის ზედა ზღვარი. სასჯელის მოხდის რეჟიმი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებები.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გახდება სამართლიანი, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესები.

ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნებაა შეიზღუდოს პროკურატურის განუსაზღვრელი უფლებამოსილება, გაძლიერდეს ადვოკატურის ინსტიტუტი, ბოლო მოეღოს პროკურორის დიქტატს და ათასობით უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანის დარღვეული უფლებების აღსადგენად გონივრულ ვადებში გადაისინჯოს მათი საქმეები.

იხ. 4 გვ.

# პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

**გუშინ, 25 ოქტომბერს პარლამენტმა 88 ხმით 54-ის წინააღმდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. მინისტრთა კაბინეტი დეპუტატებს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ირაკლი გორდულაძემ წარუდგინა:**

ეკონომიკის მინისტრი იქნება **გიორგი კვირიკაშვილი;**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – **დავით ნარმანია,** რომელიც მომავალში ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახდება;

ფინანსთა მინისტრი – **ნოდარ ხადური;**

განათლების მინისტრი – **გიორგი მარგველაშვილი;**

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი – **დავით დარახველიძე;**

ენერგეტიკის მინისტრი – **კახა კალაძე;** რომელიც მანამდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად იყო დასახელებული. იგი დარჩება ვიცე-პრემიერადაც.

გარემოს დაცვის მინისტრი – **ხათუნა გოგალაძე;**

ჯანდაცვის მინისტრი – **დავით სერგეენკო,** რომელიც საჩხერის სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი – **ირაკლი ღარიბაშვილი;**

თავდაცვის მინისტრი – **ირაკლი ალასანია** (ამავე დროს ვიცე-პრემიერიძ;

იუსტიციის მინისტრი – **თეა წულუკიანი;**

სასჯელაღსრულების მინისტრი – **სოზარ სუბარი.**

სოფლის მეურნეობის მინისტრი – **დავით კირვალიძე;**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი – **ლევან ყიფიანი;**

საგარეო საქმეთა მინისტრი – **მაია ფანჯიკიძე;**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – **გურამ ოდიშარია;**

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – **კოტე სურგულაძე;**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – **ალექსი პეტრიაშვილი;**

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – **პაატა ზაქარეიშვილი;**

დასაქმების სახელმწიფო მინისტრი – **კახა საკანდელიძე.**

სამომავლოდ ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდება ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, ხოლო მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაუქმდება დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტი, საკანდელიძე საქმიანობას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს.

საპარლამენტო უმცირესობამ ახალ მთავრობას მხარი არ დაუჭირა.



## ბიძინა ივანიშვილი:

# გავაკეთებთ უფრო მეტს, ვიდრე გპირდებოდით

**ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პოლიტიკური განცხადება გავაკეთე და დღეს დასრულდა პირველი ეტაპი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის დამტკიცების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.**

**მისი თქმით, დღეს აიღეს მათ ხელისუფლება ხელში.**

„მე ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო გუნდთან ერთად მოვედი ხელისუფლებაში. პარლამენტიც საინტერესო წევრებით დაკომპლექტდა, უმრავლესობა მყავს მხედველობაში. ახლა იწყება დაპირებების შესრულების დრო. ძალიან მძიმე ტვირთი გვაწევს, ბევრი დაპირება გავეცით, მაგრამ ვარწმუნებ საქართველოს მოსახლეობას, რომ გავაკეთებთ უფრო მეტს და უფრო სწრაფად იგრძნობთ იმას, რასაც ჩვენ გპირდებოდით“, – განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, პირველ რიგში აღდგება სამართლიანობის განცდა.

„უახლოეს რამდენიმე წელიწადში უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენი ქვეყანა ჩავაყენოთ მოწინავე ევროპული ქვეყნების რიგში“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი გამოეხმაურა წელიწადნახევარში პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მის განცხადებას და აღნიშნა, რომ პოლიტიკიდან მიდის, თუმცა პასუხისმგებლობას იტოვებს იმ გუნდზე, რომელსაც დატოვებს.

„წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ შევქმნით ისეთ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ განვითარებას შეუწყობს ხელს. მე მოვახერხებ დავტოვო ისეთი გუნდი, რომელზეც დავიტოვებ პასუხისმგებლობას. ეს იქნება ძალიან ქმედითუნარიანი და ძალიან სახალხო მთავრობა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი განმარტებით, იმიტომ მიდის სამოქალაქო საზოგადოებაში, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება განვითარდეს.

ამასთან, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყნის განვითარებას საკუთარ სახსრებს, ჯან-ღონეს და სიცოცხლესაც მოახმარს.

(მესამე გვერდიდან)

პროკურატურის ფუნქცია იქნება, დაიცვას საზოგადოება დანაშაულისაგან, დაიცვას ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერი უფლებები.

ჩვენი მთავრობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნის საშინაო საქმეთა სამინისტროდ და მას სამოქალაქო სამსახურად ჩამოაყალიბებს. აუცილებლად ავამოქმედებთ პოლიციის საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს.

პოლიციელები გათავისუფლდებიან პოლიტიკური წნეხისაგან და ისინი სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში ჩადგებიან. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ პოლიცია ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელში ისევ ხალხის დაშინებისა და ძალადობის იარაღად იქცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან გამოიყოფა სახელმწიფო უშიშროების სამსახურები და შეიქმნება ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახალი შინაარსით, სტრუქტურითა და ფორმით. ამ სამსახურის საქმიანობა უნდა იყოს საიდუმლო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, სისტემატიზაცია და მისი რეალიზაცია. სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილება არ უნდა იყოს.

* * *

ჩვენ შევქმნით საჯარო სამსახურის ისეთ მოდელს, როდესაც საჯარო მოხელის დასაქმება და გათავისუფლება არავითარ შემთხვევაში არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკაზე. კანონით განმტკიცდება პროფესიული საჯარო მოხელის საქმიანობის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა უვადოდ დანიშვნა, კარიერის პრინციპი, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის ვალდებულება, სამსახურიდან თვითნებური გათავისუფლებისაგან დაცვა და სხვა სოციალური გარანტიები. ხელისუფლების შეცვლა აღარ გამოიწვევს საჯარო სამსახურიდან კადრების დათხოვნას.

* * *

ჩვენი პოლიტიკური გუნდის გაცხადებული პრიორიტეტია ევროკავშირში გაერთიანებისაკენ სწრაფვა, ევროატლანტიკური ორიენტაცია და ნატოში ინტეგრაცია.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში და თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. ჩვენ ამ მონაწილეობას განვიხილავთ როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

საქართველოს მთავარ მოკავშირესთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად. ქარტიას საქართველო განიხილავს როგორც საკუთარი საზოგადოების წინაშე ვალდებულებას.

ჩვენ საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით დავიწყებთ დიალოგს რუსეთთან, რაც დაგვეხმარება არსებული კრიზისის ეტაპობრივად დაძლევაში.

დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკით საქართველომ უნდა შეიძინოს კავკასიური ინტერესების გამაერთიანებლის ფუნქცია. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან.



დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ხელს შეუწყობს კონფლიქტების მოგვარების პროცესის წარმატებას.

კონფლიქტების მოგვარების საკითხი მთავრობის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

ჩვენ გზას გავუხსნით სახალხო დიპლომატიას, ხელს შევუწყობთ ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და ბიზნესპროექტებს. წახალისდება ოჯახური, ნათესაური და პირადი ურთიერთობები, რომლებსაც ინარჩუნებს „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა.

მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მნიშვნელოვნად გაფართოვდება არასამთავრობო სექტორის ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს მხარეთა პოლიტიკური ექსპერტების დიალოგს, ბიზნესმენების, ჟურნალისტების, ფერმერების, ეკოლოგების, მედიცინის მუშაკების, სტუდენტებისა და სხვა „ინტერესთა ჯგუფების“ შექმნას.

* * *

საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და წარმართავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას დასავლური სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად.

დაიხვეწება სამხედრო ძალების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი. სავალდებულო გახდება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან პარლამენტისათვის საჯარო ანგარიშების წარდგენა, მათ შორის, ფინანსურ საკითხებზე.

ჩვენი მთავარი ამოცანაა თავდაცვის სამინისტროს სრული დეპოლიტიზება. ჩამოყალიბდება მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმები შესაბამისი კონკრეტული ფუნქციებითა და მოვალეობებით.

ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ფართო პოლიტიკური სპექტრი, რადგან თავდაცვა და უსაფრთხოება არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პარტიის ვიწრო ვალდებულება ან ინტერესი.

შემუშავდება სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მთლიანად ქვეყნის თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი იქნება.

შეიქმნება სამხედრო-საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტიტუტი, გადაიხედება სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ყველა საქმე, გადაისინჯება პრეტენზიები პენსიების დანიშვნის კანონიერების საკითხებზე.

ნატოში ინტეგრაციის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, გაგრძელდება და გაღრმავდება პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა.

* * *

საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების აქტიურად ჩაბმას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; აგრეთვე ეროვნული უმცირესობების კულტურის, ენის, ტრადიციების, ღირებულებების დაცვასა და პოპულარიზაციას.

* * *

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების საქმეში.

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის მოხდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება. განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნას და ხელს შეუწყობს თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სტაბილურ შემოსავალს მოუტანს, გაზრდის საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება გამოიყვანს ქვეყანას ეკონომიკური კრიზისიდან, შეამცირებს უმუშევრობას, ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

საჯარო ფინანსების მართვაში დამკვიდრდება ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტები. მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები დაიხარჯება მიზნობრივად და გამჭვირვალედ. დაიძლევა შემოსავლების განაწილებაში არსებული მაღალი უთანაბრობა და ყველა ოჯახი საკუთარ თავზე იგრძნობს ეკონომიკურ წინსვლას.

საქართველოს მთავრობის უმთავრესი ამოცანაა ისეთი საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება, სადაც გამორიცხული იქნება მონოპოლიების არსებობა.

ჩვენი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება, აგრეთვე სოციალური სფეროში — საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმა და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემის მოწესრიგება.

ჩვენ შევქმნით ხელსაყრელ გარემოს შიდა და უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც გულისხმობს ინვესტიციების დაცულობას, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნას.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის კუთხით საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია საექსპორტო საბაზრო არეალების მნიშვნელოვანი გაფართოება, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ამოქმედება, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა.

მთავრობის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდება საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება, ცოდნისა და უნარის გამოყენება. ეს კი, შეამცირებს საზღვარგარეთ მოსახლეობის მასობრივ გასვლას, აგრეთვე, სოციალური გაჭირვების ნიადაგზე ჩადენილ დანა-

**ჩვენი ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და პირველ რიგში თავი უნდა დავაღწიოთ ამ გაჭირვებას. ეს არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ამოცანა**

შაულობათა რიცხვს და გააუმჯობესებს დემოგრაფიულ მაჩვენებელს.

მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კომუნალური ტარიფები დაეფუძნება რეალურ გათვლებს და იქნება ქვეყნის მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, უმოკლეს ვადებში განხორციელდება ტარიფების ხელახალი და სამართლიანი გადაანგარიშება. დაკანონდება შეღავათები მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.

საქართველოს მთავრობა უმნიშვნელოვანეს რეფორმას განახორციელებს ჯანდაცვის სისტემაში. ამ რეფორმის პირველსავე ეტაპზე, საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტი.

ასეთივე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდება საპენსიო სისტემაში. ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლითაც მოქალაქეს საშუალება ექნება პენსია მიიღოს საკუთარი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრებიდან.

საქართველოში ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ახალი სისტემა, რომლითაც ქვეყანა თანდათანობით გახდება ევროპის სოციალური სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ეს სისტემა დაეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ პრინციპებს, როგორიცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა.

ის პენსიონერები, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე საპენსიო ასაკის არიან ან მიაღწევენ ამ ასაკს, სახელმწიფოსგან მიიღებენ პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, რაც შესაბამისი კანონით იქნება გარანტირებული.

საარსებო მინიმუმს გაუტოლდება სახელმწიფო შრომითი (ასაკითი პენსია, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მარჩენალდაკარგულთა, პოლიტიკურ რეპრესირებულთა, ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა, ომისა და სამხედრო შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტის სახელმწიფო პენსია.

აღმოიფხვრება 2005 წელს ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფაში არსებული დისკრიმინაცია და მოხდება მათი პენსიის გადაანგარიშება დღეს მოქმედი ნორმატივების საფუძველზე.

უკიდურესად გაჭირვებულთათვის გაორმაგდება სოციალური დახმარების ოდენობა. გაიზრდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა.

სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები – მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები.

ჩვენ შევქმნით ისეთ პირობებს, რომ დევნილთა გაუსაძლისი ყოფა შემსუბუქდეს. სადაც ამის საშუალება იქნება, მათ დავუკანონებთ საცხოვრებელ ფართობს, ამით ისინი მოახერხებენ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვას და მიეცემათ ღირსეული ცხოვრების საშუალება.

ჩვენი მთავრობა იმის პირობებსაც შექმნის, რომ სამშობლოდან გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ოჯახების სარჩენად მთელს მსოფლიოში არიან მიმოფანტული და დამამცირებელ სამუშაოს ეწევიან, დაბრუნდნენ და საკუთარ ქვეყანაში შეძლონ თავისი შრომით ოჯახების გამოკვება.

* * *

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხები და გრანტები, ადგილობრივი და უცხოური კერძო ინვესტიციები. შეიქმნება „სოფლის მეურნეობის განვითარების“ 1-მილიარდიანი ფონდი.

ამ პოლიტიკის შედეგად, უახლოეს წლებში, აგროსასურსათო სექტორში შეიქმნება რამდენიმე ათეული ათასი სამუშაო ადგილი; გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს, შემცირდება ფარული უმუშევრობა სოფლად.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. საქართველოს მთავრობა წაახალისებს მცირე და საშუალო ბიზნესს და ამით ხელს შეუწყობს კერძო სექტორში ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდას.

შეიქმნება საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი. კარტელური შეთანხმებების მაქსიმალურად აღმოფხვრით შეიქმნება კონკურენტული გარემო, გამარტივდება საგადასახადო პროცედურები.

საქართველოს მთავრობა ყველა ღონეს იხმარს, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარება ძირითადად დაეფუძნოს ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და დანაზოგების სტიმულირებას.

* * *

საკუთრების უფლების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდება სამართლიანი, დეპოლიტიზებული, დამოუკიდებელი სასამართლო. შეიქმნება ისეთი პირობები, როდესაც შეუძლებელი იქნება სამართლიანად მოპოვებული საკუთრების ჩამორთმევა.

ქვეყანაში შეიქმნება ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელიც დაემყარება სამართლიანობის პრინციპს და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

ჯანსაღი კონკურენციის შედეგად მოხდება საწვავის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის ფასების კლება.

გამჭვირვალე გახდება ბიზნესსექტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება საბიუჯეტო შემოსავლებზე. საკვები პროდუქტები აღარ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში. მნიშვნელოვნად შემცირდება მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები.

მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული დაბეგვრის მექანიზმებს. ყოველწლიურად დაადგინდება საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

განისაზღვრება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. ხელი შეეწყობა ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაზრდას. ეროვნული ბანკი გათავისუფლდება პოლიტიკური წნეხისაგან და ხელი შეეწყობა კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას.

საქართველოს მთავრობა გაზრდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობას, აუცილებლად გააუქმებს არამიზნობრივ ხარჯებს, ადმინისტრაციული ხარჯებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების გზით მოიძიებს ბიუჯეტში მნიშვნელოვან თანხებს, რომლითაც დაფინანსდება პრიორიტეტული მიმართულებები – ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

საქართველოს კონტროლის პალატა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური) რეალურად მიიღებს მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში. მისი ძირითადი საქმიანობა იქნება ფინანსური შესაბამისობისა და ეფექტიანობის კონტროლი.

გარემოსდაცვითი სფერო იქნება ჩვენი მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

შემუშავდება გარემოსდაცვითი სტანდარტები და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.

დაინერგება ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდები, აიკრძალება გენმოდიფიცირებული თესლისა და სანერგე მასალის იმპორტი, შემოღებული იქნება გენმოდიფიცირებული მზა პროდუქტების სავალდებულო მარკირება, ხელი შეეწყობა ადგილობრივი კულტურული ჯიშების შენარჩუნებას და ბიომეურნეობების განვითარებას.

* * *

ჩვენი გუნდი უზრუნველყოფს იმას, რომ მედია იყოს დამოუკიდებელი, ხოლო მისი დაფინანსება - გამჭვირვალე. მოხდება სარეკლამო ბაზრის დემონოპოლიზაცია. სახელმწიფო ხელს შეუწყობს პრესის გავრცელებას, განსაკუთრებით - რეგიონებში.

განათლება ჩვენი მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. განათლების სისტემა მთლიანად გათავისუფლდება პოლიტიკური წნეხისგან და მოხდება ამ სისტემის დეპოლიტიზება. განათლების სისტემა დაეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ, თანამედროვე სტანდარტებს.

ყველა უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცემა აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის გარანტია.

შეიცვლება მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი. მანდატური იქნება სკოლის თანამშრომელი, რომელიც დაიცავს სკოლის უსაფრთხოებას. იგი ვერ ჩაერევა დირექტორისა და მასწავლებლის საქმიანობაში და მისი უფლება-მოვალეობა განსაზღვრული იქნება სკოლის დებულებისა და ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით.

შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები. განათლების სისტემის მართვა იქნება თანამიმდევრული და შედეგებზე ორიენტირებული. საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად და მოსაზიდად შეიქმნება ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები.

დაცული იქნება მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლება - მათ ვერავინ გაათავისუფლებს და გადაირჩევს პირადი თუ პოლიტიკური მოტივების გამო.

იხ. 6 გვ.



(მეხუთე გვერდიდან)

მშობლები მონაწილეობას მიიღებენ სკოლის ცხოვრებაში, სკოლის საქმიანობის ანგარიშის განხილვასა და შეფასებაში.

შეიქმნება განათლების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები. გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. ამაღლდება განათლების ხარისხი. ამაღლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი.

შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით. მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი. მთავრობის პრიორიტეტების მიხედვით მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცნიერების დაფინანსება.



## ჩვენი ხალხის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და პირველ რიგში თავი უნდა დავაღწიოთ ამ გაჭირვებას. ეს არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ამოცანა

საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალგაზრდობის ჩაბმას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდება ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა.

კულტურის სფეროში გატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველო თანამედროვე სამყაროს ღირსეული წევრი გახდება. ამ მიზნით შემუშავდება კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა. დაცული იქნება კულტურის სფეროში მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობა და შემოქმედებით პროცესში ხელისუფლების ჩაურევლობის პრინციპი. კატეგორიულად გამორიცხული იქნება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კულტურის სფეროში ერთპიროვნული გადაწყვეტილებები.

ხელი შეეწყობა ქართული კულტურული სივრცის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. კულტურული მემკვიდრეობა დაცული იქნება მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. რეაბილიტაციის პროცესი წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საგანგებო ღონისძიებები გატარდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად. სახელმწიფო ენაზე იზრუნებს სახელმწიფო, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

ქართული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის პირველ რიგში სპორტი გათავისუფლდება პოლიტიკური ზეგავლენისაგან და მოხდება მისი დეცენტრალიზაცია. ჩვენ შევქმნით იმის პირობებს, რომ სპორტში ჩაბმა ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის; განხორციელდება სპორტის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები.

* * *

აი, ასეთი გახლავთ მოკლედ ის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ჩვენს სამთავრობო პროგრამაშია წარმოდგენილი და რომლის სრული ვერსიაც თქვენ ხელთ გაქვთ.

რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამა და სამთავრობო პროგრამა აცდენილია ერთმანეთს, ეს მეტი რომ არ ვთქვათ, არასწორია, რადგან წინასაარჩევნო პროგრამაში უფრო დეტალურად იყო აღწერილი ყველა ის დებულება, რომელიც შემჭიდროებული სახით მოხვდა სამთავრობო პროგრამაში.

რაც შეეხება შენიშვნებს კონკრეტულ ციფრებსა და ვადებთან დაკავშირებით, ყოველივე ამას პარლამენტს წარვუდგენთ ბიუჯეტის პროექტთან ერთად.

* * *

ჩვენი გუნდი შესანიშნავი სასტარტო პირობებით მოდის ხელისუფლებაში. ეს არის უდიდესი ნდობა, რომელიც ქართველმა ხალხმა ჩვენ გამოგვიცხადა.

ასეთი დიდი ნდობა არც წინა ხელისუფლებას აკლდა, მაგრამ მან გაფლანგა ეს კაპიტალი, მეტიც, ბოროტად ისარგებლა ამ ნდობით და ხალხის უკიდურესი უნდობლობა და რისხვა დაიმსახურა.

ჩვენს გუნდს აღარა აქვს ასეთი უპატიებელი შეცდომების დაშვების უფლება, ჩვენი ქვეყანა ამას ვეღარ გაუძლებს, ამას ხალხი აღარავის აპატიებს.

აი, ამ შეგნებით, ამ სულისკვეთებით მივუდექი მთავრობის ფორმირებას, როდესაც მინისტრობის კანდიდატებს ვარჩევდი.

სწორედ ამიტომ, გთავაზობთ პატიოსნების, პროფესიონალიზმისა და პატრიოტიზმის ნიშნით შერჩეულ კანდიდატებს და მჯერა, რომ მათი თავდაუზოგავი შრომით ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას და რეალურად შეძლებს იმ გამოწვევასთან გამკლავებას, რასაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჰქვია.

დღეს მთელს ჩვენს გუნდს ეძლევა უნიკალური შანსი, რომ ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს და გარდამტეხ ეტაპზე, პატიოსანი შრომით და თავდადებით ემსახუროს თავის სამშობლოსა და ხალხს და ეს დიდი პატივია ყველა ადამიანისათვის.

ჩემ მიერ წარმოდგენილ მთავრობას კარგად აქვს გაცნობიერებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადების შემთხვევაში, მას დაეკისრება ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მთავრობის თითოეული წევრი პარლამენტთან იქნება ანგარიშვალდებული და წინა ხელისუფლების მავნე ტრადიცია, როდესაც მინისტრები არაფრად აგდებდნენ პარლამენტს, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება.

ჩემი მხრივ, მე გაძლევთ პირობას, რომ მთავრობის ნებისმიერი წევრისათვის მინისტრობა იქნება უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმე თავისი თანამდებობითა და ძალაუფლებით ტკბობას მიეცეს, არ დავუშვებთ არც ერთ გადაცდომას და გამორიცხული იქნება პრინციპი - „ჯერ ვაცადოთ“.

ჩვენ ვერავის ვერ დავაცდით, ამის ფუფუნება ჩვენს ქვეყანას აღარა აქვს. ჩვენ მაშინვე მოვახდენთ რეაქციას თითოეული მინისტრის გადაცდომაზე, თუ ასეთი შემთხვევა იქნება და ვერავინ ისარგებლებს რამენაირი პრივილეგიით.

მაგრამ, მე მტკიცედ მჯერა, რომ იმ გუნდს, რომლისთვისაც ნდობის გამოცხადებას ახლა გთავაზობთ, ასეთი განსაცდელი არ ემუქრება.

თუ მხარს დაუჭერთ ჩემ მიერ წარმოდგენილ მთავრობის პროგრამას და შემადგენლობას, ჩვენ, ჩვენი მხრივ, გავაკეთებთ შესაძლებლის მაქსიმუმს და იმედი მაქვს, გავამართლებთ ამ დიდ ნდობას.

გმადლობთ ყურადღებისთვის.



დასაწყისი

# 2012 წლის 21 სექტემბრიდან...



როგორა ხართ, ვეკითხები გზაში შემხვდურ ნაცნობებს სხვადასხვა საოჯახო საქმისთვის გარეთ გამოსულებს... გაოცებული ვისმენ იდენტური ტექსტის შემცველ მათ პასუხებს: ველოდებით კარგ სიახლეს, იმედიანად ვართ!..

ეს მარტო დღეს არა, პირველი ოქტომბრის შემდეგ იმედი დაეუფლა ხალხს. ზოგი მოთმინებით ელის მომავალს, ზოგი მოუთმენელი კი ზღვარს გადასცდა და თვითნებურად სათავისო გეგმების შესრულებას შეუდგა (სხვის შენობებში უკანონოდ შეჭრას ვგულისხმობ, შემარცხვინეს... რას ვიძახი... ასეთებიც არიან). და მაინც, დღევანდელი დღე ზეამეტებულ მნიშვნელობას იძენს და სწორედ ეს ზეამაღლებულია, ალბათ, შიშნარევი სიფრთხილით თუ რაღაც ამდაგვარი განცდებით რომ მავსებს. ხომ ვთქვი, მოუთმენლები მრავლად გვყავს და ზღვარსაც აბიჯებენ-მეთქი. ეს ზღვარი კანონისა და მორალის გადაკვეთაზე დევს. განა ასეთები პარლამენტში არ მოხვდებიან (ვაი, თუ უკვე არიან კიდეც!)? უმრავლესობის პარლამენტში, თორემ უმცირესობაში ხომ ვიცით ვინც არიან.

იმ დღეს, 21 ოქტომბერს, კვირას, მუშაობას შეუდგა საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტი და გაიმართა პირველი სხდომა. ყოველივე ეს მოხდა დიდი ჭოჭმანის შემდეგ. როგორც ვიცით, არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა პარლამენტის ქუთაისში გადატანა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, რადგანაც თბილისში გასაყიდად განწირული პარლამენტის ძველ შენობაში ისეა ყველაფერი აყრილ-დაყრილი, რომ სამუშაო პირობების აღდგენას უდავოდ დიდი დრო დასჭირდებოდა. თუმცა, როგორც საზოგადოებას ეცნობა, არც ახალი პარლამენტის შენობაა შესაფერის მდგომარეობაში. რაც იყო იყო, მთავარია, სხდომა შედგა და ჩვენ უკვე ვიცით პარლამენტის თავმჯდომარე რომ ნამდვილად არის დავით უსუფაშვილი. ისიც ვიცით, არდასაწყებელი რომ არ დაივიწყონა. რამხელა დატვირთვა ჰქონდა (რაოდენ ჩემთვის!) მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ირინე ენუქიძის სახელის გახმოვანებას, ის ხომ უკვე სიმბოლოა ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლისა, გაუტეხელი ქართველი ქალისა და ქართველი დედისა.

შთაბეჭდილებების ზღვაში ლამის დავიხრჩო, ძალიან მიჭირს და მაინც გონება არ ისვენებს, ვფიქრობ და აწ უკვე გასულ მოვლენებს ვუბრუნდები. რა უცნაური სექტემბერი იყო, ოქტომბერიც განსაკუთრებულად დაიწყო, არასოდეს, არასოდეს საქართველოს ასეთი დღეები არ გათენებია. ყოველ ახალ დღეს საკვირველი ამბები მოჰქონდა. ლაფანყურის შთამბეჭდილებების ჭუჭყში მოქცეულ ხალხს ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო რა მოხდა, როგორ და რატომ განვითარდა ჩვენი ქვეყნის ამ პატარა და მოსაფერებელ მხარეში „მცირე ომი“ და უცებ ეს სისხლიანი ამბავი ახალმა, საშინელმა, გაუგონარმა და შემზარავმა ვიდეომასალების სერიალმა — „წამება საპატიმროებში“ გადაფარა. დროებით დაგვავიწყა ლაფანყურის დახვრეტები, რომლითაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, თავსაც კი იწონებდნენ მმართველობის სათავეებიდან აწ გაქცეული თუ გასაქცევად გამზადებული ძალოვანი სტრუქტურების ბოსები წარმომადგენლები. დიახ, დროებით დაგვავიწყა, თორემ ჩვენ, ხალხს არაფერი არ გვავიწყდება. ამ სისხლიანი დღეების გახსენების დროც დაგვიდგა, ალბათ. როგორ? არ უნდა ვიცოდეთ რატომ დახოცეს ჩვენი მოძალადეები? ვინ იყვნენ ისინი, რა დაუშავეს მათ ქართველ ხალხს, ჩვენს ქვეყანას ისეთი, რომ განწყობილებად, ტყის ნადირებივით ჩახოცეს ჩვენდა გასაფრთხობლად „მონადირეებმა“. გულდოვანია ეს ყველაფერი და შიშისმომგვრელი. დიახ, განუკითხაობის და უსამართლობის განცდა დათრგუნა ხალხი. შიშში ვცხოვრობდით და ვეილაღებოდით, ავხლდებოდით, გავმართავდით დემონსტრაციებს, გამოვიდოდით „საქართველოს გაუმარჯოს“ ლოზუნგებით, მერე გადავიკვეთებოდნენ გოლგოთას, ჩაბავჭლავებდნენ და ჩაგვახშობდნენ. რა დღეები, რა თვეები, რა წლები გამოვიარეთ, მიმართულება სულ სხვა გვქონდა და სად წავედით! არ იყო წინსვლა, სადღაც უკან, უღრან ტყეში, სიბნელეში შევვიტყუეს...

შიში ცხოვრებამ არამც თუ დაგვჯაბნა ფსიქოლოგიურად, არამედ ლამის წალეკა ჩვენი მორალური სახე. უკიდურესმა სიბინძურემ (რომელსაც ადრე თვალით ვერ ვხედავდით, თორემ განა არ ვიცოდით რაც ხდებოდა), პატიმრების, ამ ისედაც უუფლებო და ხელფეხშეკრულ ადამიანებზე განხორციელებულმა არაადამიანურმა ძალადობამ, ისეთი ქაოსი დაატრიალა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების სულსა და გულში, ისეთი, რომლის მსგავსი შეიძლება მხოლოდ ის დიდი წარღვნა წარმოვიდგინოთ, საოცარი ქაოსის წარმომშობი წარღვნა, თავის მხრივ პლანეტისა და მასზე მშვენიერი სიცოცხლის წარმოშობა რომ მოჰყვა. წარმოგიდგენიათ, რა უცნაურობები ტრიალებს დედამიწის ზურგზე კი არა, საერთოდ, იმ ქაოსის გამჩენ სამყაროში? აი, ამდაგვარი ქაოსი დატრიალდა ჩვენს პატარა საქართველოს კონტინენტზე, სიბინძურის ღვარცოფმა ისე იტრიალა, იმდენ ხანს იბორგა, სანამ ჩვენში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გულებში არ დაანთო სამართლიანობისა და ჰუმანურობის ელვარე და დაუცხრომელი კოცონი. აი, რამოდენა მნიშვნელობა აქვს იმ თვალით აღსაქმელ დეტალებს, სურათებს, ზოგჯერ უმნიშვნელო რომ გვგონია, არადა, საყურადღებოზე, ანუ ყურით მოსმენილზე გაცილებით ძლიერი ყოფილა. ყველაფერმა ამან კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი — ქართულ ოცნებასთან“ ერთად თავისი მისია შეასრულა და ქართველ ხალხს ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინა, რამაც მსოფლიო პოლიტიკოსთა ყურადღება დაიმსახურა და ქართველი ხალხის ღირსებას და მის პოლიტიკურ კულტურას კიდევ ერთი დადებითი შტრიხი შემატა. ივანიშვილის ავტორიტეტმა და მის მიერ შექმნილმა პარტიამ რაც და როგორაც იმუშავეს, ხომ ვიცით, მაგრამ პატიმრების წამების სერიალმა ხალხის მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო. ამ საქმეში უდავოდ იყო პიროვნებების დამსახურება. მადლობა ღმერთს, რომ მათ, ირმა ინაშვილს და მის თანამზრახველებს მამულიშვილურ და მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რაც გააკეთეს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რამოდენა რისკი, პასუხისმგებლობა და ფიზიკურ ენერგიასთან ერთად საკმაოდ დიდი მატერიალური ხარჯი მოჰყვებოდა ამას. თუ არ ვიცით, უნდა ვიცოდეთ!

დიახ, ქაოსმა და სიბინძურემ მოიტანა სისუფთავის დასაწყისი... და არა სამოქალაქო საზოგადოება. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება აუცილებლად ჩამოყალიბდება და მომავალში იგი ისე წარმართავს ქართულ ცხოვრებას, როგორც ეს ეკადრება ათასწლოვანი ისტორიისა და კულტურის ერს. ამის ნიშნები დღეს სახეზე გვაქვს. უსამართლობაში ცხოვრება ვერ ავიტანეთ და საპარლამენტო არჩევნებში ხმებიც ისე გადანაწილდა, როგორც ამას მოველოდით. აწი ახალ პარლამენტზე მოდის საქართველოს მოსახლეობის ერად და სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების დიდი წილი, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენით, შრომისა და მატერიალური სახსრების სწორად გადანაწილებით.

არჩევნების წინა დღეებში სამხრეთ საქართველოში მომიხდა ყოფნა. ეს ის დრო იყო, როცა თითქმის მთელი საქართველოს აფორიაქებული მოსახლეობა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თბილისში განვითარებულ მოვლენებს, სტუდენტი ახალგაზრდობის დემონსტრაციებს ძალადობის წინააღმდეგ.

გამაკვირვა იქაურთა უდრტვინველობამ, სიმშვიდემ. თუმცა, ზოგჯერ, ჩემდა გასაკვირად, ვხედავდი საქართველოს დროშებით მოფრიალე ავტოკოლონებს ახალციხესა და ახალქალაქს შორის. ესენი ნაციონალები არიანო, ამიხსნეს. სად დარბოდნენ და რას აკეთებდნენ, არ ვიცი, მაგრამ მათი გავლენა აშკარად დიდი იყო ამ მხარეში არა მარტო სომხებით დასახლებულ ადგილებში, არამედ თავად ქართველებშიც. სამწუხაროსა და გულსატკენს ნამდვილად ბევრს იპოვის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი ჩვენში, კერძოდ, ამ კუთხეში და არა მარტო აქ... თქვენ წარმოგიდგენიათ გერმანიაში, გნებავთ, საფრანგეთში ადგილობრივი მცხოვრები შეგვხვდეს გზაში და ის ენა არ ესმოდეს და არ თვლიდეს პირველ მშობლიურ ენად, სადაც ცხოვრობს და სადაც შვილებს ზრდის, თუნდაც ის წარმოშობით აფრიკელი ან ინდოელი იყოს? არა, რა თქმა უნდა, ასეთს ვერ ნახავთ იმ დემოკრატიულ ქვეყნებში. იშვიათად თუ გაიგონებთ ახალქალაქში, წალკაში და ახლომახლო მიდამოებში ქართულს. არ ვიცი კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში რა როგორ არის, მაგრამ მაღაზიებსა და ეგრეთ წოდებულ სუპერმარკეტებში ქართული ნამდვილად არ „ჭრის“. ერთი სიტყვით, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში ბევრ უცნაურობებს ნახავს კაცი, შეხვდები კი მრავალ ენაზე მოსაუბრეს, მაგრამ ქართულისაგან შორს მდგომს... და რა გასაკვირია, რომ ეროვნული სულისკვეთება ამ მხარეში არ იგრძნობა. ამდენად, არც პარლამენტი აინტერესებთ, არც მისი შემადგენლობა და არც არჩევნების სამართლიანობის ხარისხი.

ასეა თუ ისე, როგორც იქნა ქართველმა ხალხმა არჩევნების გზით მთავრობა შეცვალა. ეს ქართველმა ხალხმა, მაგრამ რამ შეცვალა ბატონი პრეზიდენტი, ეს კი მართლაც ძალიან საინტერესო ამბავია. კაცი, რომელიც არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდა ჩემს (და ნაციონალებისძ აშენებულ ქვეყანას არავის დავუთმობო, არჩევნების შემდეგ სულ სხვა პიროვნებად მოგვევლინა, მიკვირსო, განაცხადა, ზოგიერთები მოვლენ თუ არა სათავეში, ისე ჩაებღაუჭებიან სკამებს, წასვლას არსადაც არ აპირებენო!... ხედავთ, თურმე „ზოგიერთები“ რანი ყოფილან! სკამები ჰყვარებიათ და არა ქვეყანა. ახლა ჩვენი პრეზიდენტი მსოფლიოში ჯერარნახული და არგაგონილი პირველი დემოკრატია, რომელმაც ასე მშვიდობიანად ჩაატარა არჩევნები. ის ხომ ყველაფერში პირველია და უნიკალური. მსოფლიოს დემოკრატ პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფიც, კვერს უკრავს საქართველოს პრეზიდენტს და იმასვე იმეორებს, რასაც თავად პრეზიდენტი აცხადებს. ეს იმ დროს, როცა საარჩევნო უბნებში ზონდერბრიგადების შეჭრის, ბიულეტენების მასობრივი გაყალბების, საარჩევნო ყუთების გატაცების, სხვადასხვაგვარი კარუსელების ამსახველმა სურათებმა ლამის მსოფლიო მოიარეს.

განსაკუთრებულად კორექტული იყო საქართველოს პრეზიდენტი იმ დღეს, პარლამენტის სხდომაზე. ყველაფერი გასაგებია ქართველი ხალხისთვის. პრეზიდენტი მის მიერ აღებულ კურსს არ ღალატობს და აგრძელებს დემოკრატობანას თამაშს. კიდევ კარგი! თორემ სხვაგვარი თამაში ვინ იცის კიდევ რა უბედურებას დაატეხდა თავს ქართველ ხალხს.

ვინ იცის, 2012 წლის 21 სექტემბრიდან იქნებ მართლაც დაიწყოს ნამდვილი დემოკრატიის ახალი ერა საქართველოს ისტორიაში!..

**გულნარა სტურუა**

ალიან-ჩალიანი

## როლანდ ახალაიას წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი შევა

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის როლანდ ახალაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით პროკურატურაში საჩივარი შევა. ამის შესახებ განცხადება ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ გუშინ „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

როგორც ადვოკატი აცხადებს, ზუგდიდის ყოფილი საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას წინააღმდეგ საქმე უფლებამოსილების გადაჭარბებისა და მისი ბოროტად გამოყენების მუხლით აღიძვრება. ამავე მუხლით საჩივარი ზუგდიდის საოლქო პროკურატურის პროკურორის რომეო საჯაიას და ზუგდიდის მოსამართლის დავით კეკენაძის წინააღმდეგაც შევა.

როგორც მირიან ნიკოლაძემ განმარტა, საუბარია ზუგდიდის ცენტრში მდებარე უნივერმაღის — „ენგურის“ საქმეზე, რომელიც კანონიერ მფლობელებს როლანდ ახალაიას პირადი დაინტერესების გამო ჩამოერთვა. გარდა ამისა, საქმესთან კავშირში მყოფი სამი ადამიანი უსამართლოდ გამოტანილი განაჩენების გამო, ძებნაში იმყოფება.

ადვოკატის თქმით, უნივერმაღის შენობა 2006 წელს ხათუნა კაკაჩიამ და დავით როგავამ აქციონერებისგან საჭირო პროცედურების დაცვით, 300 000 აშშ დოლარად შეიძინეს. ამ მომენტისთვის ყველა დოკუმენტი წესრიგში იყო და ეს იურიდიულად დადასტურებულია. ნიკოლაძის თქმით, მას შემდეგ, რაც ქონების გასხვისების შესახებ როლანდ ახალაიასთვის გახდა ცნობილი, მისი დავალებით ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის მირანდა ჯინჯოლავასა და ორი იურისტების — თამაზ ქანთარიას და თორნიკე ცხადაიას წინააღმდეგ, საქმე უკანონოდ შეძენილი ქონების გასხვისების ბრალდებით აღიძრა და თითოეულ მათგანს 5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. მირიან ნიკოლაძის განცხადებით, აღნიშნული განაჩენი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და უკანონო იყო, შედეგად კი სამივე ადამიანი დღემდე ძებნაშია.

რაც შეეხება უნივერმაღ „ენგურს“, ადვოკატის თქმით, ეს ობიექტი დღემდე არ არის გაფორმებული კანონიერ მფლობელებზე — ხათუნა კაკაჩიასა და დავით როგავაზე. მისი თქმით, ქონება კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეს.

## დათა და ბაჩო ახალაიები ისვენებენ

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მათმა მამამ, პარლამენტარმა როლანდ ახალაიამ განუცხადა. „ისინი საჯარო მოხელეები აღარ არიან და ახლა ისვენებენ, ისვენებენ, ისვენებენ“, — ასე უპასუხა ახალაიამ კითხვას, თუ სად იმყოფებიან მისი შვილები.

ახალაიამ აღარ უპასუხა კითხვას, თუ კონკრეტულად სად იმყოფებიან დათა და ბაჩო ახალაიები.

ახალაიების ადგილსამყოფელის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციები ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი ბრაზილიაში არიან.

## ახალაიებს მოუწევთ სამართლიანი მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა

ერთადერთი რაც დააკელით საარჩევნო პროცესს, საარჩევნო ძალადობას, ეს იყო, რომ პირველი ოქტომბრის ღამეს თქვენ შეგეძლოთ გესროლათ ტყვია და არ ისროლეთ, ამისთვის დიდი მადლობა, — ასე მიმართა უმცირესობას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თინა ხიდაშელმა მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით მიმდინარე პლენარულ სხდომაზე.

ხიდაშელის განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სხვა ყველაფერი გააკეთა, რაც შეიძლებოდა და რაც ადამიანს შეეძლო წარმოედგინა.

რაც შეეხება ბრალდებებს, რომ „ქართული ოცნება“ ვინმეს ემუქრება, როგორც ხიდაშელმა განაცხადა, პირველი ოქტომბრის შემდეგ საქართველოში მარტო ხელისუფლება კი არ შეიცვალა, არამედ შეიცვალა ლექსიკონიც და დღის წესრიგიც. „შეიცვალა ადამიანების მიმართ დამოკიდებულება. შეიცვალა ტერმინოლოგია, რომლითაც თქვენ ქვეყანას 9 წლის განმავლობაში მართავდით და ის აღარ არსებობს“, — განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, პირველი ოქტომბრის შემდეგ დაიწყეს ისეთი ქვეყნის მშენებლობა, როგორსაც „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წელი ებრძოდა.

ხიდაშელის განცხადებით, დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრ ქალაქში და სოფელში ტოვებს ხალხი და „ეს პროცესი პარლამენტშიც გაგრძელდება“.

— საქართველოში თავისუფლების სიომ დაბერა და ხალხი თავისუფლდება ბორკილებისგან. როდესაც ზეწოლაზეა საუბარი, დარბაზში არის როლანდ ახალაია. მაქვს ლეგიტიმური ეჭვი, რომ დათა და ბაჩო ახალაიებს მოუწევთ სამართლიანი მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა. თქვენ შეიძლება ეს ზეწოლად ჩათვალოთ, თუმცა, ამას ჩვენ ვეძახით კანონის წინაშე თანასწორობას, — განაცხადა ხიდაშელმა.

აღსანიშნავია, რომ თინა ხიდაშელის სიტყვის დასრულების შემდეგ ტაში როლანდ ახალაიამაც დაუკრა.

ინტერპრესი

ძალადობა

# მამია სანადირაძე „კავკასუს ონლაინის“ დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებს

**კომპანია „კავკასუს ონლაინის“ დამფუძნებელი და ყოფილი მესაკუთრე მამია სანადირაძე აცხადებს, რომ კომპანიის დასაბრუნებლად სამართლებრივ ბრძოლას იწყებს და for.ge-სთან „კავკასუს ონლაინის“ მისთვის წართმევის პერიპეტიებზე საუბრობს. სანადირაძის თქმით, ხელისუფლებამ „კავკასუს ონლაინი“ იმის გამო აითვალწუნა, რომ იგი ყოფილი მმართველი გუნდის უკანონო დავალებებს არ ასრულებდა.**

**მამია სანადირაძე:** „2009 წლის სექტემბრიდან იმავე წლის დეკემბრის ჩათვლით, კომპანიაზე რამდენიმე ფლანგიდან ძალიან დიდი ზემოქმედება ხორციელდებოდა. თავიდან დაიწყო ჩვენი კომპანიის კაბელების მიზანმიმართული ჭრა. ჩვენ გვყავდა უსაფრთხოების სამსახური, რომელიც კაბელების გადამჭრელებს დასდევდა და რამდენჯერმე მათი იდენტიფიცირებაც მოახერხა. ზოგი მათგანი იყო ყოფილი „ელექტროკავშირის“, დღევანდელი „სილქნეტის“, ზოგი კი თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი. ამ ადამიანებს ჩვენი კომპანიის კაბელების რუკები ჰქონდათ, რაც ჩვენი კომპანიის საიდუმლო იყო და რაც მოიპარეს ან იყიდეს.

როდესაც ამ ადამიანებს ვაკავებდით, ვიძახებდით პატრულს და მათ ვაბარებდით დამნაშავეებს, მაგრამ საპატრულო პოლიცია შემდეგ მათ ათავისუფლებდა. ეს ყველაფერი ვიდეოფირებზეა აღბეჭდილი და მთელი ეს მასალა ჩვენ გაგვაჩნია, რასაც მოგვიანებით გამოძიებას აუცილებლად წარვუდგენთ.

ამის პარალელურად კომპანიაში შემოვიდა საგადასახადო ინსპექცია, რომელმაც ჩვენი კომპანიის ხუთწლიანი მუშაობა შეამოწმა. ვინაიდან ვერანაირი კანონდარღვევა ვერ აღმოგვიჩინეს, ბრალი დაგვდეს იმაში, რომ ინტერნეტს ძალიან იაფად ვყიდდით და ამით მხოლოდ დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტი 11 მილიონი ლარით დავაზარალეთ. ამასთანავე, ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით „კავკასუს ონლაინი“ ოთხჯერ დააჯარიმა, რამაც ჯამში 660 ათასი ლარი შეადგინა. თითოეული ჯარიმა იყო ისეთ უმნიშვნელო რაღაცებზე, რაზეც სხვა კომპანიებს მხოლოდ გაფრთხილებები ჰქონდათ მიღებული. ამ დაჯარიმებების სერიის შემდეგ, დაგვემუქრნენ, რომ შემდეგ ჯერზე ლიცენზიას ჩამოგვართმევდნენ.

გარდა ამისა, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური მასობრივად ჭრიდა ჩვენს კაბელებს, რის შემდეგაც მათი აღდგენის უფლებას არ გვაძლევდნენ. რა თქმა უნდა, ეს არაოფიციალურად ხდებოდა. ყველაფერ ამას დაემატა ისიც, რომ თბილისის მუნიციპალიტეტმა წერილი გაუგზავნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (რომელთანაც 35-მილიონიანი კრედიტის მიღებაზე გვქონდა ხელშეკრულება გაფორმებული), რომ ჩვენ ვართ დამრღვევი კომპანია, რომ ჩვენ კაბელები ისეთ ადგილებზე გვაქვს, სადაც არ გვეკუთვნის და ა.შ. და ამიტომ ჩვენზე კრედიტის გაცემა არ შეიძლებოდა.

**— ანუ თქვენზე მიზანმიმართული შეტევა ხორციელდებოდა?**

— დიახ, ამას დაემატა ისიც, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ, რომელიც ჩვენს ქსელში იყო ჩართული, 2009 წლის სექტემბერში ერთდროულად უარი განაცხადა ჩვენი სერვისით სარგებლობაზე, მათ მოგვწერეს, რომ ჩვენი ქსელიდან ითიშებოდნენ და ასეც გააკეთეს. აქ საუბარია, თითქმის ყველა სამინისტროზე, პარლამენტზე და კიდევ უამრავ სახელმწიფო დაწესებულებაზე.



**— თქვენ ახსენეთ, რომ საგადასახადო ინსპექციამ დაგადანაშაულათ იმაში, რომ ინტერნეტს იაფად ყიდდით და ამით სახელმწიფო ბიუჯეტს 11 მილიონის ზარალი მიადგა. ეს თანხაც თქვენ დაგეკისრათ?**

— დიახ, ჩვენ ეს თანხა თვენახევრის განმავლობაში უნდა გადაგვეხადა. ამასთანავე, როდესაც ჩვენ გავაპროტესტეთ ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან ინტერნეტის ძვირად გაყიდვა ყველაზე მეტად ჩვენს ინტერესში შედიოდა (ჩვენ ხომ კომერციული კომპანია ვიყავითძ, მაგრამ ინტერნეტზე ოპტიმალური ფასი გვქონდა დაწესებული, ცინიკურად გამოგვიცხადეს, თქვენ ეს თანხა გადაიხადეთ და მერე შესაბამის ორგანოებში იდავეთო. მოგეხსენებათ, ამ დავას არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა.

ყველაფერ ამის შემდეგ კომპანია ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ ფონზე გამოჩნდნენ შარანგიები, რომელთა წარმომადგენელი იყო ხვიჩა მაქაცარია, შემოგვთავაზეს, რომ მათთვის კომპანია შეღავათიან ფასად მიგვეყიდა და ყველა ეს პრობლემა გაქრებოდა. იძულებული ვიყავი, კომპანია ვილაცისთვის მიმეყიდა, რადგან ეს რომ არ გამეკეთებინა, არ ვიცი ეს ყველაფერი რით დასრულდებოდა. საქმე ისაა, რომ „კავკასუს ონლაინი“ ათი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, შვილივით გამოვზარდე და თუ მას არ დავთმობდი, კომპანია უბრალოდ განადგურდებოდა. ასევე გავითვალისწინე ის 700 თანამშრომელი, რომელიც ჩემს კომპანიაში მუშაობდა და რომლის უკანაც 700 ოჯახი იდგა და ვიფიქრე, რომ კომპანიის სრულად განადგურებას სჯობდა ის გაყიდულიყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასუს ონლაინი“ ძალიან მზარდი და პერსპექტიული კომპანია იყო. ჩვენ შავ ზღვაში ჩავდეთ კაბელი, რომელმაც ქართული ინტერნეტსივრცე პირდაპირ ევროპის ერთიან ქსელს დაუკავშირა. ამ პროექტში 40 მილიონი დოლარი გადავიხადეთ. ამასთანავე, დაგეგმილი გვქონდა კასპიის ზღვაში კაბელის ჩადება, რომლის მეშვეობითაც უკვე აზიასაც მივაწვდიდით ინტერნეტს. ამდენად, ძალიან სერიოზული გეგმები გვქონდა და მათ განსახორციელებლად შესაბამის მხარეებთან გარკვეული მოლაპარაკებებიც იყო უკვე დაწყებული, მაგრამ ამის გაკეთების საშუალება უბრალოდ არ მოგვეცა, დღის წესრიგში კომპანიის გადარჩენის საკითხი დადგა.

ჩამოვედი იმისთვის, რომ გამოძიებულ იქნას ყველა ის უკანონობა, რაც ჩვენს წინააღმდეგ იყო ჩადენილი და რაშიც კერძო კომპანია „სილქნეტი“ სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე ვერ დავადებ ხელს შარანგიებს და ვერ ვიტყვი, რომ კომპანიის მყიდველები და მისი მნგრეველები ერთი და იგივე ხალხი იყო, ალბათ, ამას გამოძიება დაადგენს. მე კი ჩემი მხრივ, ყველა შესაბამის მტკიცებულებას წარმოვადგენ, რაც, როგორც მოგახსენეთ, მრავლად გამაჩნია.

**— თუ შეგიძლიათ გვითხრათ, კომპანიის ღირებულებასთან მიმართებაში რამდენად ხელსაყრელად გაიყიდა „კავკასუს ონლაინი“?**

— ის, რაც შარანგიებმა გადამიხადეს, მიზერული თანხა იყო. ამასთანავე, როგორც მოგახსენეთ, იმ პროექტების განხორციელების შემდეგ, რაც ჩვენ გვქონდა დაგეგმილი, „კავკასუს ონლაინი“ ხუთ წელიწადში მილიარდიანი კომპანია უნდა გამხდარიყო.

უფლებას ვიტოვებ ახლა ამ ინფორმაციით შემოვიფარგლო, ხოლო ბრიფინგზე შევეცდები უფრო დაწვრილებით მოვახსენო საზოგადოებას „კავკასუს ონლაინის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, როგორ იბრძოდა სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო კომპანიებთან ერთად თავისუფლების შეზღუდვისათვის ინტერნეტსივრცეში.

**რუსიკო უშიკიშვილი**

ალიან-ჩალიანი

## გოგა ხაინდრავა სააკაშვილის მთავრობის წევრების მიმართ გამოძიების დაწყებას მოითხოვს



**საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა მთავრობის ყოფილი წევრების მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურაში განცხადებას შეიტანს და შესაბამისად, პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობის წევრების მიმართ გამოძიების დაწყებას მოითხოვს.**

**ამის შესახებ ხაინდრავამ ტელეკომპანია „მაესტროს“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.**

**„ველოდები, როდის ჩამოყალიბდება საქართველოში ახალი ინსტიტუციები. ამის შემდეგ საკითხს დავაყენებთ, გამოიძიონ დანაშაული, რომელიც პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელდა. ასევე, მოვითხოვ გამოძიება დაიწყოს 2004 წლის თებერვლიდან მთავრობის წევრების მიმართ. იქიდან მოყოლებული მთავრობის ყველა წევრი ეჭვმიტანილია კანონდარღვევებში“, — განაცხადა ხაინდრავამ.**

**ამასთან, ხაინდრავას თქმით, განცხადების შეტანისას დააფიქსირებს, რომ გამოძიება მისი საქმით დაიწყოს, რადგან იმ დროისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას ხელმძღვანელობდა.**

**„მე ვხელმძღვანელობდი იმ დროისთვის ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებას, კონფლიქტების მოგვარებას. ამ სფეროში უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ლომაიას და ბევრ ჩინოვნიკს“, — განაცხადა ხაინდრავამ**

**ხაინდრავამ მის მიმართ დაწყებულ გამოძიებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ საფრანგეთში გადაღებული ვიდეომასალა, რომელიც საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა, ფალსიფიკაცია იყო. „ამას დავამტკიცებ. ეს მასალები გაავრცელა არა საფრანგეთის ჟანდარმერიამ, არამედ პირველ რიგში საქართველოდან მოცოცხილმა მურთაზ ზოდელავამ. ეს ყველაფერი გაირკვევა და ამაზე მურთაზ ზოდელავა რომ დაისჯება, ამის პირობას გაძლევთ“, —განაცხადა ხაინდრავამ.**

**საქართველოს პროკურატურამ აღნიშნული მასალა 25 სექტემბერს გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ 2011 წლის ნოემბერში გოგა ხაინდრავა საფრანგეთში „კანონიერ ქურდებს“ შეხვდა და მათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ კი, საქართველოში გავლენის დაბრუნება აღუთქვა.**

## „ეჭვი მეპარება, სააკაშვილმა აღიაროს, რომ პოლიტპატიმრები ჰყავს და მერე ერთბაშად გაათავისუფლოს“

**„თბილისის ჰელსინკის ჯგუფის“ წარმომადგენლის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, მას ნამდვილად ეპარება ეჭვი იმაში, რომ პრეზიდენტი აღიარებს ქვეყანაში ამდენი „პოლიტპატიმრის“ და „პოლიტდევნილის“ არსებობას და მათ ერთბაშად გაათავისუფლებს.**

**„ძალიან მეპარება ეჭვი იმაში, რომ პრეზიდენტი ჩვენს მოთხოვნას შეასრულებს, თუმცა შეიძლება მან გამონახოს რაღაც ფორმა, თუნდაც პატიმრების თანდათანობით გათავისუფლების შესახებ, რადგან ეს მის ინტერესებშიც შედის. თუ ის ამას გააცნობიერებს, შეიძლება, ამდენი პოლიტპატიმრის გამოშვებას ერთჯერადი გათავისუფლების ფორმა არ ჰქონდეს, თუმცა ნელ-ნელა, ეტაპობრივად, პერიოდულობით შეიძლება სააკაშვილმა ისინი გაათავისუფლოს, თუნდაც ერთი ან ორი თვის ფარგლებში“, — აცხადებს ნიკოლაიშვილი From.ge-სთან საუბრისას .**



**უფლებადამცველს იმის იმედი არ აქვს, რომ „თბილისის ჰელსინკის ჯგუფი“ პირადად შეხვდეს სააკაშვილს და პოლიტპატიმრების გათავისუფლება მოსთხოვს, თუმცა საერთაშორისო ზეწოლის ფორმებს ისინი მოიფიქრებენ.**

**„თბილისის ჰელსინკის ჯგუფმა“ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს 185-კაციანი პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების სია დღეს გადაუგზავნა და მათი გათავისუფლება მოსთხოვა. უფლებადამცველებმა პრეზიდენტს 10-დღიანი ვადა მისცეს.**

## კვალი ძველი ხელისუფლებისკენ მიდის



**მაღაროელების, რკინიგზელების, „თელასის“ თანამშრომლების და დევნილთა პროტესტთან დაკავშირებით ექსპერტ სოსო ციკარიშვილს მიაჩნია, რომ მაღაროელების, რკინიგზელების, „თელასის“ თანამშრომლების პროტესტი სრულიად გასაგებია და საზოგადოებაც სოლიდარულია მათ მიმართ, დევნილთა პროტესტში კი, ძველი ხელისუფლების მხრიდან, გარკვეული საბოტაჟის ნიშნებს ხედავს.**

**„მაღაროელთა პროტესტი არგუმენტირებულია და მიზეზიც გაჟღერებულია, თუ რატომ ვერ გამოთქვამდნენ ისინი აქამდე ამ პროტესტს. როგორც კი ხელი დაგვიქნია რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა, მაშინვე გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ ანალოგიური რამ რკინიგზაშიც დაიწყებოდა და, ალბათ, ეს ასე იქნება. რაც შეეხება „თელასს“. აქაც აბსოლუტურად სამართლიანი პროტესტის ხმა ისმის იმ უმეცარი ნაბიჯების გამო, იმ ბოროტმოქმედურ ქმედებებზე, რომელიც ამ წლების განმავლობაში მათ მიმართ ხორციელდებოდა ხელისუფლების ზეწოლით . ეს შრომითი კოლექტივები საზოგადოების მხარდაჭერას გულწრფელად იმსახურებენ.**

**რაც შეეხება დევნილებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაჭირვება უკვე აღარ ეტევა რაიმე მორალის ფარგლებში, რაც სამწუხაროდ, ყოფილ ხელისუფლებას საერთოდ არ გააჩნდა, მაინც ვფიქრობ, რომ იგი გარკვეულად მართულია. რადგან ძალიანაც რომ გინდოდეს საკუთარი ბინიდან გადასვლა, უნდა იცოდე სად არის ამის შესაძლებლობა.**

**ეს მისამართები, ეს რაღაც გარკვეული გრაფიკი გარკვეულ ეჭვებს იწვევს. ისე ხომ არ ხდება, რომ ერთ ღამეში მოხდა ობიექტების დაკავება, ხუთი ღამის განმავლობაში ხდება შეჭრა. ჩვენ, რა თქმა უნდა უთანავუგრძობთ ადამიანებს, რომლებიც ამ სტატუსით უკვე ოცი წელია ცხოვრობენ და შესაბამისი დახმარება მთავრობისგან არ აქვთ.**

**ეს კვალი ძველი ხელისუფლებისკენ მიდის, რადგან ეჭვი მეპარება, რომ ახალი ხელისუფლებისკენ მიდიოდეს. საბოტაჟის რაღაც ნიშნები აშკარად შეინიშნება. თუნდაც იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომ ახლა თურმე ციხეებში ხდება შურისძიება იმ ბადრაგების მიმართ, რომლებიც პატიმართა წამებაში მონაწილეობდნენ. ესეც ამ პროვოკაციის ნაწილია“, — აცხადებს ცისკარიშვილი.**

**From.ge**

*მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველო მეცხრე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, სადაც მსოფლიოს მასშტაბით ბიზნესისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია. წლის ბიზნესრეფორმატორი პოლონეთი გახდა, ბიზნესისათვის მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო და ადვილ გარემოდ კი კვლავაც სინგაპური სახელდება. ჯამში მეცხრე ადგილზე გასულმა საქართველომ ცალკეულ ნომინაციებში უკეთესი შედეგებიც აჩვენა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ქონების დარეგისტრირება ყველაზე ადვილია. ანგარიშის თანახმად, ასევე უპრობლემოდ ხდება მშენებლობის ნებართვის აღება (მე-3 ადგილი) და საბანკო სესხების გაცემა (მე-4 ადგილი).*

*საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ყველაზე დაბალი გადასახადებია და ამიტომ მათი შემცირება წარმოუდგენელია. ამის შესახებ მან დუბაიში მსოფლიო ენერგეტიკულ ფორუმზე მსოფლიო ბანკის ანგარიშის კომენტირებისას განაცხადა.*

*„რეალობა არის ის, რომ საქართველოში — ეს უკვე აღიარეს კოალიციის წევრებმა, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადებია მსოფლიოში, ამიტომ გადასახადების შემცირება წარმოუდგენელია", — აღნიშნა სააკაშვილმა.*

*მან ასევე ბიზნესის კეთების კუთხით საქართველო რუსეთს შეადარა და აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსეთის ხელთ არსებული დიდი რესურსებისა, იგი მსოფლიო ბანკის რეიტინგებში სერიოზულად ჩამოგვრჩება.*

*„შევარდნაძის მთავრობის პერიოდში ჩვენ ამ მხრივ 141-ე ადგილზე ვიყავით. გატარებული რეფორმების შარშან მე-16 ადგილზე გადავინაცვლეთ. დღევანდელი რეიტინგით კი საქართველო მე-9 ადგილზეა. ვიღაც იტყვის, რომ სააკაშვილის მთავრობა ატყუებდა ხალხს და ჩვენ ამ ტყუილის შედეგად ჩაგვწერეს სიაში მე-9 ადგილზე. რუსეთს ჩვენზე ათასჯერ მეტი ფული აქვს და მთელი თავისი პროპაგანდისტული მანქანის მიუხედავად, რამდენიმე ათეულშიც ვერ მოხვედრილა", — განაცხადა სააკაშვილმა.*

*მიუხედავად მსოფლიო ბანკის რეიტინგებისა და მიხეილ სააკაშვილის თავმომწონე განცხადებებისა, საქართველოში ყველამ იცის, როგორ კეთდებოდა აქ ბიზნესი. თუ ხელისუფლების წარმომადგენელი ან მასთან ძალიან დაახლოებული პირი არ იყავი, ქართულ ბაზარზე (ნებისმიერ სეგმენტში) ცხვირსაც არავინ შემოგაყოფინებდა, ხდებოდა ბიზნესწილების წართმევა და გადაფორმება სააკაშვილის კარის ბიზნესმენებზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ამაზე ღიად არავინ საუბრობდა, ხოლო ვინც ალაპარაკდა, ან ციხეში უკრეს თავი, ან ქვეყნის დატოვება და პოლიტიკური თავშესაფრის ძიება მოუწია. თუმცა, ქართველმა ბიზნესმენებმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე უკვე ღიად ისაუბრეს იმაზე, რაზეც აქამდე დუმილი უწევდათ და ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტებიც დაასახელეს. ალბათ, ყველაფერი ჯერ წინ გვაქვს, რადგან არაერთი საკუთრება და ბიზნესწართმეული ადამიანი თავისი საკუთრების უფლების აღსადგენად სამართლებრივ ბრძოლას იწყებს. მანამდე კი შეგვიძლია იმაზე ვიმსჯელოთ, რატომ მივიწევთ ამგვარ რეიტინგებში წინ იმ ყველაფრის ფონზე, რაც ქვეყანაში ბიზნესის დატერორების კუთხით კეთდებოდა.*

*ამ თემაზე for.ge-ს ესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე.*

# აზრა სხვაა, საქმე — სხვა,

## ანუ ქვეყნის ეკონომიკა უკან მიდის, მსოფლიო ბანკი კი გვაქებს

— დავიწყოთ იმით, რომ ათეულში მოხვედრა საკმაოდ პოზიტიური მოვლენაა, რადგან განვითარებული ქვეყნების გვერდით ვართ. როდესაც ამ რეიტინგს ინვესტორი ჩახედავს, პირველი განცდა, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ გაუჩნდება, ეს საკმაოდ პოზიტიური განწყობა იქნება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის პირველები ვართ და ესეც მეტყველებს იმაზე, რომ არის საკითხები, რაშიც საქართველოს გარკვეული წარმატებები აქვს. თუმცა, ერთია ის, რაც ამ დოკუმენტშია ასახული, ხოლო მეორე საკითხია, რომ თუ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას ჩავუღრმავდებით, საკმაოდ საინტერესო ტენდენციებზე შეგვიძლია ვისაუბროთ. ამიტომ ცხადი ხდება, რომ ეს რეიტინგი მთლიანად ვერ ასახავს იმ რეალობას, რაც ჩვენთან ბიზნესგარემოში არსებობს.

ბიზნესის რეიტინგი ზომავს გარკვეული ტექნიკური საკითხების ერთობლიობას, რომელიც შეიძლება ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე საკმაოდ კარგად იყოს გადაწყვეტილი, მარტივად გაკეთებადი, მაგრამ ძალიან ბევრი ტექნიკური საკითხის შინაარსი არის გასარკვევი. ვგულისხმობ ისეთ საკითხებს, რომლებიც ამ რეიტინგში ვერ ხვდება. მაგალითად, ბაზარზე კონკურენციის ხარისხი, ადამიანების კვალიფიკაციის დონე და ა.შ. ძალიან მარტივ მაგალითს მოგიყვანთ, ამ რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ საკუთრების რეგისტრაციაში გატარების მხრივ, ანუ ეს ჩვენთან ყველაზე მარტივად ხდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია შინაარსი, თუ ვინ რა მიზნით აფორმებს ამ საკუთრებას. საქართველოში როგორ ხდებოდა საკუთრების, მათ შორის ბიზნესის გადაფორმება, ამაზე კარგად მეტყველებს თუნდაც ეს ბოლო პერიოდი, როდესაც ყველა ერთმანეთთან დავობს, აცხადებენ, რომ გადაფორმება ზეწოლის შედეგად მოხდა და ა.შ. ამიტომ მთლიანობაში ეს რეიტინგი არის ტექნიკური საკითხების მაჩვენებელი და ამის უკან თუ ჩვენ შინაარსში უფრო მეტად ჩავიხედავთ, სწორედ იქ წავაწყდებით იმ პრობლემებს, რაც ბიზნესგარემოს აწუხებს.

ახლა განვიხილოთ, რამ განაპირობა ამ მაჩვენებლის ზრდა. უწინარესად, გეტყვით, რომ არის ასეთი კომპონენტი — ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის მიწოდება. ამ კომპონენტში საქართველომ დაახლოებით 38-საფეხურიანი წინსვლა განიცადა. ეს მაჩვენებელი არა მხოლოდ ხელმისაწვდომობას ზომავს ელექტროენერგიაზე, არამედ მიწოდების ხარისხსაც, რამდენად დანახარჯიანია, როგორი დანაკარგებია და ა.შ. სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება რაიმე ღონისძიება, რომელმაც საქართველოში ეს კომპონენტი გააუმჯობესა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო ბანკმა ეს სხვანაირად დაინახა, ანუ დაინახა ისე, როგორც დაინახა, და ამ კომპონენტმა განაპირობა ჩვენი ზრდა ამ რეიტინგში. აქვე გეტყვით, რომ დღეს ბიზნესისთვის ელექტრომომარაგების საკითხში პრობლემაა საკმაოდ მაღალი ტარიფები. ერთია, რომ მაღალი ტარიფებია მოსახლეობისთვისაც და ეს ცალკე თემაა, მაგრამ კომპანიები კიდევ უფრო ძვირს იხდიან, რაც პრინციპულად კიდევ უფრო არასწორია, რადგან კომპანიები ამ პროდუქციის საკმაოდ დიდი რაოდენობით შემსყიდველები არიან. ამიტომ, მათთვის ტარიფი შედარებით უფრო დაბალი უნდა იყოს.

რეიტინგის თანახმად, წინსვლა არის კრედიტის აღების კომპონენტში. პრინციპში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გაცემული კრედიტების მოცულობა გაზრდილია და მხოლოდ ეს პოზიტივია. სხვა მხრივ, საპროცენტო განაკვეთები არ შემცირებულა და საერთოდაც არაფერი მომხდარა ისეთი, რამაც ამ მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია, ანუ კრედიტის აღების პროცედურა იგივეა, რაც იყო. ასევე არის კიდევ რამდენიმე კომპონენტი, რაშიც ისედაც პირველები ვიყავით. მაგალითად, ეს არის სამშენებლო ნებართვები, ბიზნესის რეგისტრაცია, საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ვაჭრობის ბარიერები და ტარიფები, ასევე გარკვეული წინსვლა გადასახადების გადახდის სიმარტივეში გვაქვს. თუმცა, ეს განპირობებულია იმით, რომ ბევრი რამ ელექტრონული გახდა, მაგალითად ანგარიშფაქტურების, ელექტრონული ზედნადებების შემოღებამ ადმინისტრირების პროცესი გაამარტივა და შესაძლოა წინსვლა ამ კომპონენტს უკავშირდებოდეს.

ამასთანავე, არის ორი ძალიან საყურადღებო შემცირების მაჩვენებელი. პირველი არის გაკოტრების რეჟიმის პროცედურები, რაც საქართველოში რთული იყო და ამ კომპონენტში უკუსვლა გვაქვს. როგორც ჩანს, სხვებმა ეს მაჩვენებელი გააუმჯობესეს და ამ ნაწილში გაგვასწრეს. საქართველოში საკმაოდ დიდი დრო, ხანგრძლივი სასამართლო პროცესები და სხვადასხვა პროცედურებია საჭირო იმისთვის, რომ ბიზნესი გაკოტრებულად და დახურულად გამოაცხადო. ეს ერთ-ერთი პრობლემაა ბიზნესისათვის და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ ნაწილში გვაქვს. ყველაზე მთავარი, რაც ამ რეიტინგში მენიშნა არის ის, რომ ინვესტორთა დაცულობის მაჩვენებელი ექვსი პუნქტით არის გაუარესებული. ეს კი იმას ნიშნავს, ინვესტორი რომ შეხედავს ამ რეიტინგებს, ნახავს, ბიზნესის რეგისტრაცია მარტივია, ასევე საკუთრების უფლების დარეგისტრირება, მაგრამ ასევე ნახავს, რომ ინვესტორების დაცულობა შედარებით პრობლემურია. ამიტომ ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რად მინდა მარტივად დავარეგისტრირო ბიზნესი, თუ ჩემი საკუთრება საფრთხის ქვეშ დადგება?



**— ამ რეიტინგების კომენტირებისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადებია და მათი შემცირება წარმოუდგენელია. ამასთანავე, მან თქვა, რომ რუსეთს ჩვენზე ბევრჯერ მეტი ფული აქვს და მთელი მისი პროპაგანდისტული მანქანის მიუხედავად, რამდენიმე ათეულშიც კი ვერ მოხვდაო. საერთოდაც, „ნაციონალური მოძრაობა" მუდმივად მანიპულირებდა მსგავსი რეიტინგებით იმის საილუსტრაციოდ, რომ, თითქოს, საქართველოში სერიოზული რეფორმები ხორციელდება და ამას დასავლეთშიც კარგად ხედავენ. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

— ყველა რეიტინგი აბსოლუტურად სუბიექტურია, ყველა ეყრდნობა კონკრეტულ მეთოდიკას და ეს სუბიექტივიზმი რეალობისგან განსხვავებულ შედეგებს განაპირობებს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეს რეიტინგი ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოს სრულყოფილად ვერ ასახავს, რადგან ბიზნესის დაწყების სიმარტივე ბიზნესის კეთების სიმარტივეს არ ნიშნავს. შინაარსი ცოტა უფრო რთულია, ვიდრე ის ფორმა, რომლითაც ეს რეიტინგებში არის წარმოდგენილი. რაც შეეხება გადასახადების საკითხს, მართალია, რეგიონში ჩვენ უფრო შედარებით ცოტა გადასახადი და დაბალი განაკვეთები გვაქვს, მაგრამ ერთ გადასახადში რამდენიმე გადასახადი არის თავმოყრილი. მაგალითად, ქონება რამდენიმე გადასახადის ერთობლიობაა, ასევე საშემოსავლო გადასახადიც გაერთიანების შედეგია. ამიტომ, მთლიანობაში, მართალია დაბალი გადასახადები გვაქვს, მაგრამ თუ ჩვენ ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირება გვინდა, რა თქმა უნდა, შემცირების რესურსი არსებობს, იგივე დღგ-ს ნაწილში, იგივე საშემოსავლო გადასახადის ნაწილში და თუნდაც მოგების გადასახადის ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ ამ გადასახადებმა დროის გარკვეულ პერიოდში დაიწიოს, რათა ამან ბიზნესზე პოზიტიურად იმოქმედოს. გარდა ამისა, ერთია ის, რომ დაბალი გადასახადები და მცირე განაკვეთები გვაქვს, მაგრამ ადმინისტრირების საკითხი, ანუ გადასახადების ამოღების სქემები, ასევე დაჯარიმება, რაც ადრე არსებობდა, არალიბერალური მიდგომა ისეთი კომპანიების მიმართ, რომლებსაც შესაძლოა კონკრეტული დავალიანების გასტუმრება, ვთქვათ, ერთი დღით გადაუცდათ, ან რაღაც მცირე დარღვევა დოკუმენტში, რომელიც ყველას აქვს, შეიძლება დაჯარიმების მიზეზი გახდეს. ამ ჯარიმების სახით ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხები შედიოდა და, რა თქმა უნდა, ეს ბიზნესის ხარჯი იყო.

შეიძლება შევადაროთ, რა არის უკეთესი ის, რომ დაბალი გადასახადი მქონდეს და ბევრი ჯარიმა, თუ ნაკლები ჯარიმა და შედარებით მაღალი გადასახადი? ამიტომ, მიმაჩნია, რომ უწინარესად ადმინისტრირების ნაწილი არის გასასწორებელი, რათა იგი მარტივი, ადვილად გასაგები და ნაკლებხარჯიანი გახდეს, ანუ ბიზნესმა თავი უფრო თავისუფლად იგრძნოს. რუსეთთან შედარებას რაც შეეხება, ეს, ალბათ, მაინც პოლიტიკური საკითხია, რუსეთთან ჩვენი დაპირისპირება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ასე უკრაინას ამ კუთხით უფრო უარესი ვითარება აქვს და შეიძლება უკრაინასთან შედარება უფრო უკრიანიც გამხდარიყო. უკრაინა, რუსეთი და ყაზახეთი გამოირჩევიან, ასე ვთქვათ, საკმაოდ დახუნძლული ტექნიკური პროცედურებით, ანუ იქ ძალიან ბევრი გადასახადია, ძალიან ბევრი სირთულეა, ზოგადად ბიზნესის კეთების ნაწილში ბევრი ბარიერია, ტექნიკურად ეს ასე ჩანს და მსოფლიო ბანკის შეფასება მათთან მიმართებაში ამიტომაც არის ასე დაბალი, თუმცა, რეალურად რომ შევადაროთ, შეიძლება კონკურენცია იქ უფრო მეტი იყოს, ვიდრე ჩვენთან.

მაგალითად, უკრაინისა და საქართველოს ბაზრები რომ შევადაროთ (მიუხედავად იმისა, რომ ამ რეიტინგებით ჩვენ მე-9, ხოლო უკრაინა, თუ არ ვცდები 137-ე ადგილზეაძ, კონკურენციის ხარისხით უკრაინის ბაზარი ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენი ბაზარი იყო აქამდე, რადგან ბიზნესი სამთავრობო წრეების მხრიდან არაპირდაპირ რეგულაციას განიცდიდა, რაც კონკურენციას ზღუდავდა. იგივე თუნდაც საკუთრების უფლებისა და ინვესტორთა დაცულობის ნაწილის შედარება იქნებოდა ძალიან საინტერესო და კარგი.

**— ამგვარ რეიტინგებში არ აისახება ასევე ბიზნესზე ზეწოლა, რაზეც ბიზნესმენებმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე უკვე ღიად ისაუბრეს. შესაძლებელია, რომ ამგვარმა ფაქტებმა რამენაირად ასახვა ჰპოვოს რეიტინგებში?**

— სამწუხაროდ, ამ რეიტინგის მეთოდიკა მსგავსი ტიპის ფაქტების ასახვას არ ითვალისწინებს. მაგალითად, თუ ვიღაცამ მეორე პიროვნებაზე ქონება დოკუმენტურად გადააფორმა, თუნდაც ზეწოლის შედეგად, ეს რეიტინგი რეგისტრაციის სიმარტივეს დათვლის და არა შინაარს, თუ რის გამო მოხდა ამ გადაფორმების პროცედურა. ამ რეიტინგში ჩანს მხოლოდ საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი, თუმცა აქ უნდა არსებობდეს მხარე, რომელიც ამაზე პროტესტს ღიად გამოხატავს. მაგალითად, თუ მე ქონება წამართვეს, მაგრამ მე ის ჩემი ნებით გადავეცი, რადგან სხვა გზა არ მქონდა, ამას ეს რეიტინგი ვერ გაითვალისწინებს. თუ სასამართლო დავა დავიწყე და ეს დავა განვითარდა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაფიქსირდება, რომ აქ საკუთრების უფლებებში გარკვეული პრობლემები არსებობს. რა თქმა უნდა, ეს რეიტინგი ვერ ზომავს სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხს, რომელიც ბიზნესდავების დროს გადამწყვეტია. რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო წყვეტს, კონკრეტული დავების წარმოების პროცესში ვინ არის მართალი და ვინ არა. თუნდაც ის, რაც ახლა ხდება, ვიღაცას ქონება ჩამოართვეს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ და ეს დავები რეალურად სასამართლომ უნდა გადაჭრას. თუ კონკრეტული ბიზნესმენი ხმამაღლა განაცხადებს საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ და ამაზე დავას დაიწყებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ეს რომელიმე რეიტინგში ფაქტად აისახოს.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუკი ყველა ის დავა, რაც ამჟამად წამოიჭრა, სასამართლოებში გადაინაცვლებს, შესაძლოა რეიტინგებში უფრო დაბლა დავიწიოთ?**

— არ ვიცი, როგორი იქნება მომდევნო წელი. ეს დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რომლებსაც ჩვენი ახალი ხელისუფლება განახორციელებს, მაგალითად, გადასახადების შემცირების, ან პირიქით არშემცირების კუთხით, იქნება თუ არა ახალი რეგულაციები და ა.შ. ეს საკითხი ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

**ნინო ჟღენტი**

№206. პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012 წელი.

**უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები მერაბ ტურავა და ნინო გვენეტაძე განცხადებას მოსამართლეებზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის ზეწოლის შესახებ აბსურდულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მის წინააღმდეგ ჩივილს აპირებენ, რაც ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას.**

**მერაბ ტურავას თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არავითარი მორალური და სამართლებრივი უფლება არა აქვს, გააკეთოს ასეთი განცხადება. ყოფილი მოსამართლე კონსტანტინე კუბლაშვილს 2005 წლის შემოდგომაზე მის სამუშაო ოთახში მათ შორის შემდგარ საუბარს ახსენებს, კერძოდ, თუ როგორ აიძულებდა იგი მოსამართლეებს, დაეწერათ განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე.**

**მანვე კიდევ ერთი ყოფილი მოსამართლის ლალიაშვილის ისტორიაც გაიხსენა, რომელსაც ბრემენში ყოფნის დროს კუბლაშვილი ურეკავდა და აიძულებდა, განცხადება დაეწერა და სამსახურიდან წასულიყო. მისივე თქმით, იყვნენ მოსამართლეები, რომლებმაც დაწერეს განცხადება და წავიდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბოლომდე დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ სიმართლეში და განცხადება არ დაწერეს.**

**დღეს უკვე For.ge-სთან საუბარში ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურავა მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის იმ უკანონო ფაქტებს იხსენებენ, რაც თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდეს სამხილი ამ სისტემის მესვეურთათვის.**

ნინო გვენეტაძე აცხადებს, რომ უახლოეს ხანში მერაბ ტურავა პროკურატურისთვის მიმართვას მართლაც აპირებს, რათა გამოიძიონ წლების წინ მათზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კოტე კუბლაშვილის განცხადება, რომ თურმე სასამართლო კორპუსზე ზეწოლა ხორციელდება, ნინო გვენეტაძისთვის უპასუხისმგებლობად აღიქმება. მისი თქმით, საზოგადოებას და, მათ შორის, ადვოკატებსაც ვერავინ აუკრძალავს კონკრეტულ საქმეებზე მსჯელობას და გადაწყვეტილების კანონიერებაში ეჭვის შეტანას. უფრო მეტიც, ზუსტად ასეთი აქტიური საზოგადოება აჯანსაღებს პროცესებს და მათი კრიტიკა სასარგებლო იქნება სასამართლო ხელისუფლებისთვის.

ამდენად, ყოფილი მოსამართლის აზრით, საჯარო მოხელეები ვალდებულნი არიან, დასაშვები კრიტიკა მოითმინონ და მათ არავინ უნდა დაეხმაროს ამ კრიტიკის გასანეიტრალებლად.

**„კოტე კუბლაშვილის განცხადება, თითქოს მოსახლეობის 85% სასამართლოს მხარს უჭერს, უკომენტაროდ უნდა დავტოვოთ, რადგან აქ რაციონალურ აზრს ვერ ვიპოვით. იგი არ ასახელებს, თუ ვინ ჩაატარა კვლევა და დეტალურ ინფორმაციას არ იძლევა. ამდენად, ყველანი მივიჩნევთ, რომ ეს უნდა იყოს შიდა რესურსით ჩატარებული კვლევა და ისინი თვითკმაყოფილების რიტუალში არიან. როცა ამდენი ადამიანი სასამართლო პროცედურებს ხელახლა ელოდება, ასევე, მოუთმენლად ელოდებიან ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რეალურად სწორედ ეს არის ჩვენი სასამართლოს „დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის" პროცენტული მაჩვენებელი. ამიტომ განცხადება, თითქოს მოსამართლეთა კორპუსი ზეწოლის ქვეშაა, არასწორია. ერთი კია, ახლა ბატონ კოტეს ვალდებულება აქვს, იქამდე შეინარჩუნოს მოსამართლეთა მორჩილი კორპუსი, სადამდეც ეს შესაძლებლად მიაჩნია. ამიტომ მათ გასამხნევებლად მათივე დამცველად მოგვევლინა, ნუ შეშინდებით, ჩვენ მხარს დაგიჭერთო"** — აღნიშნა ნინო გვენეტაძემ.

თუმცა, საქართველოს დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნინო გვენეტაძე ეჭვობს, რომ კოტე კუბლაშვილის მოწოდება მოსამართლეთა კორპუსისთვის დამაჯერებელი იყოს. მისი ინფორმაციით, მოსამართლეთა ნაწილი, რომელიც თვლის, რომ მათ არაფერი ჩაუდენიათ, მიიჩნევს, რომ შეუძლიათ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გაგრძელება, მოსამართლეთა მეორე ნაწილი კი, რომელიც უკანონო გადაწყვეტილების გამო შიშის გრძნობითაა შეპყრობილი და პასუხისმგებლობის მოლოდინშია, შეიძლება, არაადეკვატურიცაა.

**„ამის მიუხედავად, კოტე კუბლაშვილი თავისას ცდილობს. ის უწყების ხელმძღვანელია, ყველა ადმინისტრაციული ფუნქციის მქონეა და ვალდებულია, მორჩილ კორპუსს ისევ მორჩილებისკენ მოუწოდოს".**

ამასთან, ნინო გვენეტაძე იმ პერიოდსაც იხსენებს, როცა კოტე კუბლაშვილის ამ სისტემაში მოსვლისთანავე ოპტიმიზმით იყო განწყობილი, ფიცის ტექსტიც კი მიურბენინა, რომ კუბლაშვილს ერთგულად დაედო ფიცი მოსამართლეთა წინაშე, თუმცა მუშაობის პირველსავე დღეებში გამოიკვეთა მისი მიმართულება, რომ იგი პოლიტიკურად მანიპულირებადი იყო და მას სასამართლოში პოლიტიკური ნება უნდა გაეტარებინა. ამას კი, როგორც შეეძლო, ისეთი მეთოდებითა და ფორმებით ახორციელებდა. თუმცა, ძალიან ხშირად თვითონვე უსუსურ და უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა.

**„ფაქტია, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა, პოლიტიკურ კონიუნქტურას მომსახურებოდა და არასასურველი მოსამართლეებისგან გაეთავისუფლებინა ეს სისტემა",** — აცხადებს ნინო გვენეტაძე.

For.ge-სთან საუბრისას ყოფილმა მოსამართლემ მერაბ ტურავამ ის კონკრეტული საქმეები გაიხსენა, როცა მისი და კიდევ რამდენიმე მოსამართლის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა დაიწყო.

— 2005 წელს, ჩემს, ნინო გვენეტაძისა და უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლის მიმართ კონსტანტინე კუბლაშვილმა უკანონო მოქმედებები განახორციელა. ზოგიერთმა მოსამართლემ განცხადება ნებაყოფლობით დაწერა, მაგრამ ჩვენ არ დავწერეთ, ამიტომაც ჩვენს წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა უსაფუძვლოდ განხორციელდა და მოსამართლის თანამდებობიდან გაგვათავისუფლეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მთელი ორი წლის განმავლობაში, ჩვენს მიმართ არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა, ჩვეულებრივად ვაგრძელებდით მუშაობას, მაგრამ მოგეხსენებათ, სასამართლო სისტემა ასეთია, საქმეები იხილება ჯერ პირველ ინსტანციაში, შემდეგ აპელაციაში, ბოლოს — კასაციაში; ამიტომ დაახლოებით წელიწადნახევარი დასჭირდა უზენაეს სასამართლომდე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას, რომელთა მიმართაც ხელისუფლებას გარკვეული ინტერესი ჰქონდა. მათ შორის, სულხან მოლაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე და სხვა საქმეებზე. 2005 წლის ზაფხულში ჩვენ გამოვიტანეთ სამი გამამართლებელი განაჩენი. ეს იყო პირველი ნაკადი იმ საქმეების, რომლებიც უზენაესში შემოვიდა და ახალ ხელისუფლებას მათ მიმართ ინტერესი ჰქონდა. მანამდე აღმკვეთი ღონისძიებები, პატიმრობები თუ სხვა გადაწყვეტილებები ქვედა ინსტანციებში მიიღებოდა.

**— რომელ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით გამოვლინდა ხელისუფლების ინტერესი?**

— ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო მესაზღვრის, ვინმე ჯაშის საქმე, რომელიც დააპატიმრეს მაშინ, როცა ზურაბ ადეიშვილი ჯერ კიდევ უშიშროების მინისტრი იყო. ჰყავდათ ბრალდების ცრუ მოწმე, რომელმაც სააპელაციო სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. მაშინ პროკურორი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ მართალია, ამ კაცს დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოგვეტანა.

**— ვინ იყო პროკურორი?**

— კონკრეტულად ვინც მოვიდა პროცესზე, აღარ მახსოვს, რადგან რამდენიმე რიგითი პროკურორი გამოდიოდა, მაგრამ ამ ადამიანმა ზურაბ ადეიშვილის სახელით გვთხოვა, რომ ამ პიროვნების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოგვეტანა, თუნდაც დაბალი სასჯელით. ჩვენ ამაზე კატეგორიული უარი ვუთხარით; ასევე, იყო მეორე საქმე, „ხალხის გაზეთის" რედაქტორი, ვინმე ოქრუაშვილი გორიდან, რომლის მიმართაც მაშინდელ შს მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს პერსონალური პრობლემები ჰქონდა. ამიტომ ამ კაცს ჩაუდეს ნარკოტიკი, რომელზეც საპროცესო საქმე გაფორმდა. მოგვიანებით ჩვენ გავაუქმეთ ეს საპროცესო შეთანხმება, რადგან იგი უკანონოდ ჩავთვალეთ. ასევე, ექვსკაციან პირთა ჯგუფი გავათავისუფლეთ პატიმრობიდან იმის გამო, რომ მტკიცებულებები არ იყო. ამის შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში მოდიოდა სულხან მოლაშვილის საქმე, რომელიც ჩვენსავე შემადგენლობას უნდა განეხილა. ზუსტად ამ პერიოდში ზურაბ ადეიშვილმა პრეზიდენტს უთხრა, რომ ეს მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში კონტრრევოლუციას გვიწყობენ და ჩვენი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენო.

# ესეც ნაცების ნაქები „სამართლიანი სასამართლო"!

## ყოფილი მოსამართლეები — კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ



**— საუბარია თქვენზე და ნინო გვენეტაძეზე?**

— სულ ოთხნი ვიყავით, რომლებმაც არ დავწერეთ განცხადება. საკასაციო ინსტანციიდან საუბარია ჩემზე, ნინო გვენეტაძეზე, მურმან ისაევზე, ხოლო თამაზ ილიაშვილი იყო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიიდან. ამის შემდეგ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩვენს წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო. ჩვენი ბრალმდებელი იყო ნიკა გვარამია. წარმოიდგინეთ ახლა, იგი პოლიტიკური ფიგურა იყო, ხოლო ჩვენი ერთ-ერთი მსაჯული, რომელმაც ჩვენი საქმე განიხილა, გადაწყვეტილება მიიღო და სამსახურიდან გაგვათავისუფლა, იყო ნინო კალანდაძე.

**— ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე?**

— დიახ, იგი მოგვიანებით გახდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. მანამდე კი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წევრი. ისიც პოლიტიკური ფიგურა იყო. სხვათა შორის, ნინო კალანდაძეს არც დაუმალავს და გვითხრა კიდეც, თქვენს მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს და ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ამიტომაც ვიღებთ ასეთ გადაწყვეტილებასო. რა თქმა უნდა, ჩვენ დისციპლინარული სამართალწარმოება გავასაჩივრეთ და ჩვენი საჩივარი სტრასბურგშია. შემიძლია პირდაპირ გითხრათ, კოტე კუბლაშვილი ჩვენგან ისეთი გადაწყვეტილების გამოტანას მოითხოვდა, როგორიც პროკურატურის ინტერესებში ჯდებოდა და, როგორც პროკურორს უნდოდა. ახლა სხვადასხვა საქმეში მონაწილე ყველა ადამიანის სახელი და გვარი არ მახსოვს, მაგრამ ჩვენ ამ საქმეებზე წინააღმდეგობას ვუწევდით. მახსოვს, პარასკევი საღამო იყო და მაშინდელი მთავარი პროკურორი თვითონ მოვიდა უზენაეს სასამართლოში. უშუალოდ მე არ შემხვედრია და ჩემთან არ უსაუბრია, მაგრამ კუბლაშვილის კაბინეტში ორი-სამი საათი მიმდინარეობდა საუბარი ამ თემებზე. მეორე-მესამე დღეს კუბლაშვილი გონებადაკარგული და ფერწასული იყო, რომ ასე მოითხოვს პროკურატურა და რა ვქნათ, ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებულიო. ამის მიუხედავად, ჩვენ ზემოხსენებული გაზეთის რედაქტორის სასარგებლოდ მივიღეთ გადაწყვეტილება. როცა კუბლაშვილი ვნახეთ, იგი გაფითრებული იდგა, რადგან არ იცოდა, მთავარი პროკურორისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისთვის რა ეთქვა ამის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ კონტრრევოლუციონერებად შეგვრაცხეს.

**— ადეიშვილი უზენაეს სასამართლოში ხშირად მოდიოდა?**

— ადეიშვილი თავისი მანქანითა და დაცვით მოდიოდა. რა თქმა უნდა, ყოველდღიურად და ყოველკვირეულად არა, მაგრამ, როცა მნიშვნელოვანი საქმეები იყო და ჩვენ არ ვემორჩილებოდით მათ პოლიტიკურ ნებას და არ ვიღებდით პოლიტიკურ გადაწყვეტილებას... ამის შემდეგ კუბლაშვილი მასთან თავს იმართლებდა, ეს მოსამართლეები ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ, მე რა ვქნა, ხელებს ხომ ვერ დავუკავებ და გადაწყვეტილებაზე ხელს ძალით ხომ ვერ მოვაწერინებო?! ასე რომ, ჩვენი საქმეების გარჩევა მიმდინარეობდა. ვერ გეტყვით, პრეზიდენტს რა უთხრეს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საკაშვილს აცნობეს, თითქოს ჩვენ სისტემის მოწინააღმდეგენი ვიყავით, რომ მათ წინააღმდეგ ვმოქმედებდით, ჩვენ არ გვესმოდა ის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები იყო მისაღები. სხვათა შორის, ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტს, რომელთანაც კარგი მეგობრობა ჯერ კიდევ პარლამენტში მუშაობის დროიდან ჰქონდა ადეიშვილს, მან ისიც უთხრა და იმის თქმაც კი გაბედა — ტურავა და გვენეტაძე ყველა საქმეზე მტკიცებულებას მოითხოვენ და კანონის მუხლებით მსჯელობენო; ასე რომ მივუღგეთ ჩვენ საქმეებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერავის მივცემთ და მაშინ ყველა პატიმარი გასაშვები გვეყოლებაო. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენზე ორი წლის განმავლობაში არავითარი ზეწოლა არ ხორციელდებოდა.

როგორც კი საქმეთა მასა, დინება მოაწვა უზენაეს სასამართლოს, მაშინ დაიწყო ზეწოლა. განსაკუთრებით, პრობლემატური იყო სულხან მოლაშვილის საქმე, რადგან იგი ჩვენს შემადგენლობას უნდა განეხილა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში ორი შემადგენლობა იყო: ერთ შემადგენლობას უკვე აღმკვეთი ღონისძიების პატიმრობის გაგრძელებაზე ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული, ჩვენ კი უნდა მიგვეღო გადაწყვეტილება მოლაშვილის საქმეზე — მე, ქალბატონ ნინოს და კიდევ მესამე მოსამართლეს.

იმათგან, ვინც აპელაციაში განიხილა სულხან მოლაშვილის საქმე, ერთ კვირაში მათგან ორი მოსამართლე დააწინაურეს და უზენაეს სასამართლოში გადაიყვანეს, ერთი პალატის თავმჯდომარედ და მეორე, — უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის წევრად, რადგან მათ საქმე ტენდენციურად განიხილეს. წამების ფაქტები იყო, პრობლემები იყო მტკიცებულებებში და პროკურატურამ ზაზა მეიშვილს პირდაპირ წაუყენა ასეთი მოთხოვნა — შენ თუ ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებ, მაშინ საერთოდ დატოვებ სასამრთლო სისტემასო. ამიტომ მან კიდევ ორ მოსამართლესთან — ოშხერელთან და ჭანტურიძესთნ ერთად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. იმასაც კი არ დაელოდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება უზენაესში გასაჩივრებულიყო და მერე დაეწინაურებინათ. ხელისუფლებას ისე მოეწონა მათი საქციელი, ისეთი გახარებულნი იყვნენ მათ მიერ გამოჩენილი „გმირობით", რომ გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე დღეში უზენაესში გადაიყვანეს და ზაზა მეიშვილი უკვე პალატის თავმჯდომარის რანგში დახვდა თავის მიერვე იქ მიღებულ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, პალატაში მას არ განუხილავს საქმე სამკაციანი შემადგენლობით, მაგრამ მორალურად ეს ისედაც მიუღებელია და უზენაესის მოსამართლეები, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც მოერიდებოდნენ მას.

სხვათა შორის, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ნუნუ კვანტალიანი განსხვავებულ, ანუ სამართლიან აზრზე დარჩა. თუმცა, ორმა მოსამართლემ მოლაშვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. საერთოდ, ადეიშვილმა ისეთი დანაშაულებრივი სისტემა შექმნა, რომ უზენაესი სასამართლოს პალატის ყველა თავმჯდომარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები, ყოფილი პროკურორები დანიშნა თანამდებობებზე. სასამართლო ხელისუფლებაში მან პროკურორები დანიშნა, რათა მათ არ დასჭირვებოდათ ყოველდღიური სატელეფონო საუბრები სასამართლოსთან და უშუალოდ ემართათ ეს სისტემა. 2006 წლამდე ასეთი წესი არ არსებობდა, აკრძალული იყო და ყოვლად წარმოუდგენლად მიიჩნეოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, იმავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც ყოფილიყო და ადეიშვილის მოადგილედ მოგვლინებოდა.

**— თქვენ აცხადებთ, რომ კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებთ.**

— სარჩელი ჯერ არ შეგვიტანია. როცა შეიქმნება ახალი მთავარი პროკურატურა, თავისი ახალი სისტემით, მაშინ შევიტანთ. დღემდე აზრი არ ჰქონდა ამის შეტანას და არავითარი რეაგირება არ ექნებოდა; დაგვცინებდნენ კიდეც.

**— გაქვთ იმედი, რომ ის პროკურორები, რომლებიც ოდესღაც სხვის დავალებას ასრულებდნენ, ახლა სამართლიან განაჩენს გამოიტანენ?**

— ვფიქრობ, რომ პროკურატურას პოლიტიკური და პროკურორული წნეხი რომ მოეხსნება, ეს ძალიან დიდი პლუსი იქნება. დანარჩენი, ახლა ყველა ადამიანი საკუთარი სინდისის წინაშე უნდა იყოს მართალი.

**— რაც შეეხება იმპიჩმენტის პროცედურას?**

— პარლამენტს აქვს ინიცირების უფლება დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის მონაწილეობით. შემდეგ უკვე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება (არა როგორც პრეზიდენტის შემთხვევაში, ორი მესამედით, არამედ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თეორიულად ეს იმპიჩმენტი შესაძლებელია, მაგრამ, პრაქტიკულად, ამის შესახებ ჯერ დასკვნა უნდა დაიწეროს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტიტუცია დაარღვია ან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმპიჩმენტის პროცედურა წარმატებით დასრულდეს.

**— მანამდე ვერ შეეხებიან, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი?**

— თანამდებობიდან მის გადასაყენებლად იმპიჩმენტის პროცედურაა საჭირო. იმპიჩმენტი კი დამოკიდებულია იმაზე, კონკრეტულად რამდენ ხანში გამოკვეთს პროკურატურა მის ბრალდებას ან კონტიტუციის დარღვევას. ამიტომ ზუსტ დროს ვერ მოგახსენებთ.

**მარიამ ლოლაშვილი**

პოლემიკა



# ნაცები ინფორმაციას მუდმივად ზღუდავდნენ!

## ვახტანგ კომახიძე: ბარამიძის განცხადება, რომ ქვანიასა და აფრასიძეების ფილმებში საკუთარი პოზიციის გადმოცემის შესაძლებლობა არ მიეცა, სიცრუეა

*ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე სოციალურ ქსელ „facebook"- ის საკუთარ გვერდზე ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ბარამიძის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ჟვანიაზე და აფრასიძეებზე ფილმები ცალმხრივად მომზადდა და მეორე მხარეს, ანუ მას საკუთარი მოსაზრებების და პოზიციის გადმოცემის შესაძლებლობა არ მიეცა.*

*კომახიძე აღნიშნავს, რომ ბარამიძეს ეს აქამდე არასოდეს უთქვამს და აცხადებს, რომ ეს სიცრუეა.*

*როგორც ის facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს, ზურაბ ჟვანიას თემაზე მისგან ინტერვიუს მიღებას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცდილობდა.*

**„ორივე ფილმი ჩემი მომზადებულია და ორივე ფილმის მომზადების პროცესში ვცდილობდი მასთან დაკავშირებას სწორედ მისი პოზიციის გამოსავლენად. ზურაბ ჟვანიას თემაზე მისგან ინტერვიუს მიღებას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვცდილობდი. სხვებთან ერთად შემიძლია დავასახელო მისი ორი ახლო მეგობარი, ვისი საშუალებითაც მის ინტერვიუზე დათანხმებას ვცდილობდი და ორივე მათგანის საშუალებით უარი შემომითვალა. უფრო მეტიც, ფილმის მომზადების პერიოდში საშვთა ბიუროს გავლით ვიმყოფებოდი მის მისაღებში ინტერვიუს მისაღებად, სადაც შეკითხვებით დაინტერესდნენ, მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი შეკითხვების მოსასმენად კაფეშიც კი შემხვდა, მაგრამ საბოლოოდ, ბარამიძემ ინტერვიუზე უარი შემომითვალა. აფრასიძეების თემაზე კი, ინტერვიუსთვის მას წერილობით მივმართე, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა",** — წერს კომახიძე facebook -ის საკუთარ გვერდზე.

რაც შეეხება გადაცემაში ბარამიძის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას, რომ მისი მისამართით უსაფუძვლო ბრალდებები გამოაქვეყნეს, კომახიძე ამასაც სიცრუეს უწოდებს.

ის აღნიშნავს, რომ პრეტენზია თავხედურად იყო ინტერპრეტირებული ჟვანიასა და აფრასიძეების ფილმთან დაკავშირებით.

**„ესეც სრული სიცრუეა, რადგან პრემიერ-მინისტრის დაღუპვის დეტალებზე მომზადებული ორი ფილმიდან არც ერთში ბარამიძის გვარი ნახსენებიც არ იყო. თუმცა, იგი უდავოდ არის ამ საქმის ერთ-ერთი საინტერესო მოწმე. პრეტენზია თავხედურად იყო ინტერპრეტირებული აფრასიძეების ფილმთან მიმართებაშიც, ფილმში არ გაჟღერებულა, რომ ბარამიძემ მიცვალებულს საქორწინო ბეჭედი მოხსნა და რომ იგი გვამებზე სადილობდა, თუმცა, ფილმში აღწერილი იყო სპეცოპერაციის დანაშაულებრივი სისასტიკე, მოწმეთა ისეთი ჩვენებები, რაც სპეცოპერაციის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებდა და თავისთავად გამოძიების დაწყების საფუძველი უნდა გამხდარიყო. აი, ამ საკითხით ბარამიძე არასოდეს დაინტერესებულა და თუნდაც ესაა სრულიად საკმარისი საფუძველი მისი ბრალდებისთვის. რაც შეეხება ფილმს, იქ არანაირი ჟურნალისტური მოსაზრება და შეფასება არ ყოფილა გამოთქმული. ფაქტების აღწერილობები და შეფასებები მთლიანად სპეცოპერაციის თვითმხილველებს და საქმეში მონაწილე მხარეებს ეკუთვნოდათ",** — წერს კომახიძე.

მისივე თქმით, ბარამიძემ პირდაპირ ეთერში გამოთქმული პრეტენზიის შემდეგ, რომ მას არ მიეცა ფილმებში თავისი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, იქვე, რამდენიმე წუთში უარი თქვა ეპასუხა იგივე შინაარსის კითხვებისთვის და „დამაჯერებლად" ცდილობდა იმის ახსნას, თუ რატომ არ სურდა არასოდეს ამ თემებზე საუბარი.

**„ერთი შეხედვით, ეს არაადეკვატური საქციელი სინამდვილეში არც უაზრობაა და არც ბარამიძის ნოუჰაუ. ასეთი იყო „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური ტექნოლოგია — ერთი მხრივ, ისინი მუდმივად ზღუდავდნენ ინფორმაციას და, მეორე მხრივ, აფრქვევდნენ საყვედურებს, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ იყო სრულფასოვანი. ბარამიძე ისევ იმავე ტექნოლოგიებით აპირებს პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას და ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ სწორედ ეს პოლიტტექნოლოგიები აღმოჩნდა მათი პოლიტიკური მესაფლავე",** — წერს კომახიძე.

From.ge

წკეპლიკა

# მაინც რომ დიდგულზე არიან — რატომ?

**ერთობ უსიამოვნო განცდა დამიტოვა საპარლამენტო უმცირესობის შეხვედრებმა პრემიერმინისტრობის კანდიდატთან ბიძინა ივანიშვილთან. ტყუილად კი არ ამბობდნენ — თეთრი ფრაკი, შავი ფრაკი ახლა საპარლამენტო „მეჯლისზე" გამოჩნდებაო... გამოჩნდა კიდევაც — ეგ უმცირესობა კი არა, „უმძიმესობაა" თუ „უღირსებობა"?.. დიახ, დამარცხებას, ერთგვარად, ღირსეულობაც შვენის...**

**იმ შეხვედრების შემდეგ ვეკითხებოდი თავს — რატომღა და როგორღა არიან დიდგულზე ეს ნაცები, არჩევნებზე გვარიანად ნაცემი უმაღლესი და „უგრძელესი" ნაცის მეთაურობით, რატომღა და როგორღა, როცა წლების სიგრძეზე წესიერი მმართველობით კი არა, „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით", განუკითხაობით, უსამართლობით, პარპაშით, ზევით-ქვევით, შინ თუ გარეთ გრიალით, გაყიდვა-გასხვისებით, გასახლება-ჩამოსახლებით და ათასი სხვა ჯანდაბა-დოზანით ამგვარ ყოფაში, ამგვარ დღეში ჩააგდეს ქვეყანა, ხალხი, მოსახლეობა; თვითონ ჩემზე უკეთ არ იციან მთელი ეს წლები რა მიჰქარეს, რამდენი მიჰქარეს, რამდენი გაამწარეს, რამდენი აწამეს, რამდენი მოკლეს და „საერთოდ" რა და რამდენი „მიირთვეს"?..**

**ვინ მიგდია, ვინა ყრიან — ეს ჩემს ზრდილობას ვით ეკადრება, მაგრამ შეგნებულად ვკადრულობ — გოკაა თუ გოგაა, აკუა თუ გიაა, რომ ასე ელაპარაკონ ბიძინა ივანიშვილს, რა გაუკეთებიათ ქვეყნისათვის, ხალხისათვის, მოსახლეობისათვის, — იმავე ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით? ჰმ, ფეხზე რად არ აუდექით ქვეყნის პრეზიდენტსო... რომ არ იყო ყველას პრეზიდენტი, რომ მხოლოდ ნაცების პრეზიდენტი იყო და არის, იმიტომ! ჰოდა, თუ ასეა, თქვენ აუდექით, რამდენიც გინდათ, თქვენ დაუჯექით, თქვენ დაუჩოქეთ და თქვენ დაუწექით, ნაცებო — ზოგიერთი ქალის ჩათვლითაც...**

**რა ანეკდოტები აუტყდა მაგ გოგასა თუ მაგოგას, საანეკდოტოდ თავად არ გაიხადა საქმე? რა საყვედურები აუტყდა მაგ გოკას — ბოკა ხუნიორსი რომ ჰგონია თავისი გუნდი?.. იმის მაგიერ, რომ თვითკრიტიკაზე, თვითგვემაზე, თავზე ნაცრის წაყრაზე იყვნენ გადასულნი, იმის მაგიერ, რომ ამიხსნან, რატომ გარბიან საზღვარგარეთ თანაგუნდელები მილიონობით ფულების „თანხლებით" — აქეთ მიტევენ? აქეთ მამუნათებენ? აქეთ მაკრიტიკებენ? ბიძინა ივანიშვილს რა აქვს, რა სჭირს თქვენი გასაშაყირებელი? და თუ ასე მაგარი ბიჭები ხართ, მეც შემხვდით, ჩემისთანებსაც შეხვდით, ხალხსაც შეხვდით და კაი-კაის მიიღებთ, კაი-კაის მოისმენთ, აგერ აქ, ზემოთ „მოსმენილის" გარდა.**

**ხალხი ვახსენე და სათაურში გამოტანილ კითხვაზეც გაჩნდა პასუხი: იმიტომ არიან ნაცები დიდგულზე, რომ ხალხის, მოსახლეობის აბუჩად აგდებას, ანგარიშგაუწევლობას, საზოგადოებრივი აზრის არად ჩაგდებას მიეჩვიენ, ხალხის რისხვისა არ შეშინებიათ. აბა ერთი მაგრად შეჯანჯღარდეს ერთი რომელიმე ან რამდენიმე ნაცი, დიახაც ამის ღირსი? მაშინ ვნახავდი მაგათ „ბუმბულს" გაშლილსა და გაფანტულს...**

**ბევრი, ბევრზე-ბევრი რამ ჭირი, გასაჭირი, უბედურება ჩვენივე ბრალია, ჩვენ გვებჯინება — საზოგადოებას, მოსახლეობას, ხალხს. ეს ჩვენ ვითმენთ, თვალებს ვუხუჭავთ, ყურს ვუყრუებთ ძლიერთა ამა სოფლისა ათასგვარ უმსგავსობას, უწესობას, უსინდისობას, თავგასულობას, მათ რიცხვში ლონდონში თუ რომში შოპინგობას, აფრიკაში საფარობას, ჩრდილოეთ პოლუსზე თეთრ დათვზე ნადირობას... ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენ დავიტოვეთ, ავიტანეთ, მოვითმინეთ მხდალი უმაღლესი (და უგრძესი!) მთავარსარდალი... მითქვამს და კვლავაც ვიტყვი:**

*ბევრი რამ ჩვენზე დიახაც, რომ ახია, ახი!*
*რომ უნდა ვიყოთ სწორედ ახლა —*
*არ ვართ ის ხალხი!*
*ჰოდა, კიდევაც გვიტრიალებს უკუღმა ჩარხი,*
*აკი დაგვაჭრეს ყურებზე ხახვიც!..*

ბერდია ბედოიძე

ინფორმაცია

### „პიკ"-ის თანამშრომლები უკმაყოფილონი არიან

**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს გუშინდელი სხდომის შედეგებით უკმაყოფილოები არიან „პიკ"-ის თანამშრომლები. როგორც „პიკ"-ის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა გიული ჩაჩანაშვილმა განაცხადა, სხდომაზე არ იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული და არ იქნა პასუხები გაცემული იმ კითხვებზე, რაც „პიკ"-ის თანამშრომლებს აქვთ; კერძოდ, რა ბედი ეწევა „პიკ"-ს, გააგრძელებს თუ არა მაუწყებლობას და დარჩებიან თუ არა სამსახურში „პიკ"-ის თანამშრომლები.**

**— ჩვენ დღევანდელ სხდომაზე ვერც ერთ კითხვაზე პასუხი ვერ მოვისმინეთ, შესაბამისად, ამ სხდომის შედეგით უკმაყოფილოები ვართ. დღევანდელი სხდომით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ გია ჭანტურია, რომელიც არის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი, ვერ იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური სარჩულის გარეშე. მე დარწმუნებული ვარ რომ, ის ელოდება მომავალი მთავრობის დამტკიცებას და, შესაბამისად, თუ მომავალი მთავრობის მხრიდან იქნება კეთილი ნება გამოჩენილი „პიკ"-ის მაუწყებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ალბათ, გია ჭანტურიაც დათანხმდება მომავალი მთავრობის კეთილ ნებას. სწორედ ამით ვხსნი სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ დაინიშნოს კიდევ ერთი სხდომა, სადაც მოხდება კიდევ ერთხელ „პიკ"-თან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, — განაცხადა გიული ჩაჩანაშვილმა.**

**როგორც კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის" წევრმა თამარ კორძაიამ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, არავითარი წინასწარი დასკვნის საფუძველს არ იძლევა დღევანდელი სხდომა. მისივე თქმით, სამეურვეო საბჭო შეთანხმდა, რომ დაინიშნოს კიდევ ერთი სხდომა, სადაც მოწვეულები იქნებიან უკვე ტელეკომპანია „პიკ"-ის ხელმძღვანელობა, რათა მოხდეს საკითხის კიდევ უფრო დეტალურად შესწავლა.**

### ბორჯომს ახალი გამგებელი ჰყავს

**ვახტანგ მაისურაძე აღნიშნულ თანამდებობაზე დავით კამკამიძემ შეცვალა. დავით კამკამიძე ბორჯომში „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. არსებული ინფორმაციით, ვახტანგ მაისურაძემ გამგებლის პოსტი საკუთარი განცხადებით დატოვა.**

ინტერპრესი

ინტერნეტიდან

# „ვაი თქვენს პატრონს, შერეკილს!..."

საქართველოს პრემიერმინისტრობის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლისა და „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ბიუჯეტში 2 მილიარდ ლარზე მეტია აკუმულირებული.

ამის შესახებ მერაბიშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

„1 ოქტომბრის მონაცემებით, მას შემდეგ რაიმე სერიოზული ცვლილება არ განხორციელებულა, საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა ანგარიშებზე აკუმულირებულია 2 მილიარდ ლარზე მეტი. პოლიტიკაში მოსვლამდე ვმუშაობდი ტექნიკურ უნივერსიტეტში და ძალიან კარგად ვიცი, რომ შეიძლება, ბევრმა პოლიტიკოსმა მოიტყუოს, მაგრამ ციფრები არასოდეს იტყუებიან", — განაცხადა მერაბიშვილმა.

**ცნობისთვის:** ფინანსთა მინისტრობის კანდიდატის ნოდარ ხადურის განცხადებით, ხაზინაში დღეის მდგომარეობით, მხოლოდ 200 მილიონია.

„დღეის მდგომარეობით ხაზინაში არის მხოლოდ 200 მილიონი და არა ორი მილიარდი, შემიძლია წარმოგიდგინოთ ამონაწერი. არაფერი გადაჭარბებით არ არის შესრულებული! — განაცხადა ხადურმა.

სამარცხვინოა, როცა პრემიერმინისტრს ბიუჯეტში მობილიზებული და ბიუჯეტში აკუმულირებული ფული ერთი და იგივე ჰგონია. მის მიერ შედგენილი სიით პარლამენტში მსხდომი ოპოზიციაც ამავე კალიბრისაა.

აი, რა კომენტარები გავრცელდა ფეისბუქში:

**„ეს ბლუ შეიძლება იდიოტი გეგონოს, რომ არ იცოდე, რა ნაძირალაა!"**

**„თავი ისე მოაქვს, თითქოს არც არაფერი ჩაუდენია"."**

**„ჩვენ გვაყრის თვალში ნაცარს, ინერციით, თორემ ძალიან კარგად იცის, რომ ბიუჯეტში მაგის მეათედიც არ არის."**

**„ვერ დავიჯერებ, რომ სიტყვა „აკუმულირებული" ამან წარმოთქვა"**

**„ვაი თქვენს პატრონს შერეკილს!..."**

**ზოგიერთმა, ვინც არ იცის, ესენი რა ნაძირალები არიან, შეიძლება დაიჯეროს, რომ ამათ ბიუჯეტში 2 მილიარდი ლარი აქვთ; მე არ მჯერა;"**

**„ამისთვის არის კარგი გამონათქვამი: ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ..."**

**„კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს. ვუსმენდი დღეს ბარამიძეს და მივხვდი, რომ ის სატანისგანაც კი დაწყევლილია..."**

**„ორი მილიარდი 500 მილიონად იქცა — ესეც მორიგი ტყუილი."**

**„ვანო მერაბიშვილი მაინც ყველაზე მაგარი კაცია... არ მგონია, რომ თვითონ, საკუთარი ნებით თქვა ეს ტყუილი, ალბათ-ათქმევინეს... ეს იდუმალი კაცი, რომლის სახელის ხსენებაზე უკან ვიყურებოდი, გავიხედე და ყანა — სამკალში არ გააგზავნეს?!**

**„რძალ-დედამთილს შორის ... დაიკარგაო, ეგრეა ჩვენი საქმე!"**

**„ჟ ვ ა ნ ი ა !**
**შ ა რ ა ძ ე !**
**გ ი რ გ ვ ლ ი ა ნ ი!**
**26 მაისს 2 მიცვალებული სახურავზე!"**

**„წაღებულს უკან რომ მოგატანინებენ ნაცუკებს, ბიუჯეტი უფრო გაიზრდება!"**

ნათა ნიბლაძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო ომში მხარეს იცვლის

## ბიძინა ივანიშვილი რუსეთთან კონფლიქტის გაღვივებაში პრეზიდენტს სდებს ბრალს

**საქართველოში პარლამენტის არჩევნების გამარჯვებულმა, პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია უკანასკნელი წლების მთავარი ქართული ტაბუ. 2008 წელს სამხრეთ ოსეთში ომის გაჩაღებაში მან ბრალი დასდო არა რუსეთს, არამედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის მომხრეებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიიდან, რომელიც ახლა პარლამენტის ოპოზიცია გახდა.**

„2008 წლის ომი იყო დიდი პროვოკაცია, რომელიც დაგეგმეთ თქვენმა მთავარსარდალმა და თქვენ“, — განაცხადა 24 ოქტომბერს ბატონმა ივანიშვილმა, როდესაც პარლამენტში პრეზიდენტის თანაპარტიელებს მიმართავდა. მომავალი პრემიერის აზრით, მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობა სამხედრო მოქმედებათა გაჩაღებაში ეჭვს არ იწვევს: „ამის შესახებ არის ნათქვამი ტალიავინის განცხადებაშიც (ჰაიდი ტალიავინი არის შვეიცარიელი დიპლომატი, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიზეზების კვლევის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარეძ. ამას აღიარებენ ამერიკელებიც და ევროპელებიც. ყოველივე ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ჩვენ რომ ნორმალური ხელმძღვანელობა გვყოლოდა“.

ამავე დროს პარლამენტის არჩევნების გამარჯვებული კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერი ცდილობდა დაეცვა ბალანსი, რათა თავისი ოპონენტებისთვის არ მიეცა საბაბი მისი პრორუსული პოლიტიკოსობის შესახებ. ჩრდილოელ მეზობელსაც შეეხო ბიძინა ივანიშვილი, მან, არსებითად, ბრალი დასდო მოსკოვს იმპერიულ ამბიციებში: „რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთი ცდილობდა გადაელახა კავკასიის ქედი — და მან ეს თავისი ოცნება აასრულა სწორედ სააკაშვილის წყალობით“.

როდესაც მოსკოვთან ურთიერთობაზე საუბრობდა, ივანიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ მალე ურთიერთობა მოწესრიგდება, თუმცა აღიარა: კონკრეტული გეგმა ამ ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის მას ჯერჯერობით არ გააჩნია. „სწორი მოქმედებებითა და დიპლომატიით ჩვენ მალე შევძლებთ ყველაფერი მოვაწესრიგოთ და დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები, თუ ჩვენი ინტერესები დაემთხვევა რუსეთის ინტერესებს“, — დარწმუნებულია ივანიშვილი.



სხვათა შორის, მომავალმა პრემიერმა ვერ შეძლო თავისი ოპტიმიზმი გადაედო აუდიტორიისთვის. ივანიშვილის გამოსვლის დროს ზოგიერთმა დეპუტატმა დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. „შეიძლება იყო პრეზიდენტის ოპონენტი — და ეს ნორმალურია, მაგრამ არ შეიძლება იყო საკუთარი ქვეყნის ოპონენტი, — განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა. — ის, რაც ივანიშვილმა თქვა, ხელს აძლევს მხოლოდ მათ, ვინც საქართველოს ოკუპაციას ახდენს“.

25 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე ახალი ქართული პარლამენტი თითქმის აუცილებლად დაამტკიცებს ბატონ ივანიშვილს მთავრობის მეთაურის პოსტზე — 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მანდატების უმრავლესობა ეკუთვნის მის მომხრეებს კოალიციიდან „ქართული ოცნება“. სხვათა შორის, მომავალი პრემიერი გვპირდება, რომ პოლიტიკაში დიდხანს არ დარჩება — უკვე ნახევარი წლის შემდეგ ის აპირებს დატოვოს თავისი პოსტი და „ხელი მოჰკიდოს საზოგადოებრივ მოღვაწეობას“.

როდესაც ერთ-ერთ პარლამენტარს უპასუხებდა კითხვაზე, თუ როგორ იქნება სოციალური პროგრამის დაფინანსება, თუ ამისთვის არ გვეყოფა საბიუჯეტო სახსრები, მილიარდერმა ივანიშვილმა, საქართველოს ყველაზე მდიდარმა ადამიანმა, განაცხადა: ამ შემთხვევაში ის ფულს გამოყოფს საკუთარი სახსრებიდან. 2011 წლის შემოდგომაზე ჟურნალმა „ფორბსმა“ ბიძინა ივანიშვილის ქონება 5,5 მილიარდ დოლარად შეაფასა. ზოგიერთი მონაცემებით, რუსეთის აქტივების გაყიდვების შედეგად მან მიიღო კიდევ ერთი მილიარდი დოლარი. როგორც მეორე ქართველი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე ამტკიცებს, ყველა წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად მხოლოდ გაისად საჭირო იქნება დამატებით 2,2 მილიარდის დოლარის გამოძებნა. „რას გავაკეთებთ, როდესაც ივანიშვილს ფული გაუთავდება“, — სვამს რიტორიკულ კითხვას ბატონი ბენდუქიძე, რომელმაც, როგორც მომავალმა პრემიერმა, თავისი კაპიტალი რუსეთში დააგროვა.

Коммерсант

---

# ივანიშვილი დაგვპირდა გაერკვეს საქართველოში რუსულენოვანი ტელევიზიის გამორთვასთან დაკავშირებით

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელმა, საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა თავი შეიკავა კომენტარებისგან ქვეყანაში ერთადერთი რუსულენოვანი ტელეარხის „პიკის“ მაუწყებლობის შეწყვეტის სიტუაციასთან დაკავშირებით, თუმცა დაგვპირდა, რომ გაერკვევა ამ საკითხში.**

„გავერკვევით“, — თქვა ივანიშვილმა რუსულად ხუთშაბათს ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობის წინ, სადაც დილიდან მიმდინარეობს ჟურნალისტების აქცია, რომლებიც ცდილობენ მიიქციონ დეპუტატების ყურადღება ტელეარხის გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, ორშაბათს ტელეარხ „პიკის“ ჟურნალისტებმა საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის სამეთვალყურეო საბჭოს სახელზე, პარლამენტსა და საქართველოს მთავრობაში შეიტანეს პეტიცია მოთხოვნით, გაერკვნენ მაუწყებლობის გამორთვის მიზეზებთან დაკავშირებით.

„უმუშევრად რჩება საქართველოში ერთადერთი რუსულენოვანი ტელევიზიის 400-მდე თანამშრომელი“, — აღნიშნეს „პიკის“ თანამშრომლებმა.

16 ოქტომბრის ღამით ტელევიზია „პიკის“ მუშაკებმა, ტელევიზიისა, რომელიც 2011 წელს პომპეზურად გახსნა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, მოაწყვეს საპროტესტო აქცია, მათ შორის, დაფინანსებისა და დახურვის შესახებ გავრცელებული ხმების პრობლემასთან დაკავშირებით, მათ ეთერში გაუშვეს ახალი ამბების გამოშვება, რომელშიც რეპორტიორებს ერთი სიტყვაც კი არ წარმოუთქვამთ.

მათ, კერძოდ, მოითხოვეს დამოუკიდებელი აუდიტის მოწყობა და საკითხის დაყენება საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება „პიკის“ გამორთვის შესახებ.

როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, 20 ოქტომბერს საქართველოს საზოგადოებრივმა ტელევიზიამ შეაჩერა საქმიანი კონტაქტები ამ რუსულენოვან ტელეარხთან.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია ასრულებდა ყველა ვალდებულებას ამ არხის წინაშე, რომელიც მისი ერთ-ერთი შტოა, მათ შორის საფინანსოც, მაგრამ ამ დღეებში „პიკის“ თანამშრომელთა ნაწილმა საჯაროდ გამოთქვა პროტესტი ხელფასის დაკავებასთან დაკავშირებით.

„ეს იყო გაურკვეველი დემარში, ამას გარდა „პიკი“ შეუთანხმებლად გავიდა სატელიტზე, და ჩვენ მოგვიწია გაგვეღო გაუთვალისწინებელი ხარჯები“, — განაცხადა საზოგადოებრივმა ტელევიზიამ. ასეთი გასვლა თანამგზავრზე — ეს არის საზოგადოებრივ ტელევიზიასა და „პიკს“ შორის კონტაქტის უხეში დარღვევა, ნათქვამია განცხადებაში.

კონტაქტის ასევე „უხეშ დარღვევად“ არის დასახელებული პრეტენზიების საჯარო გამოვლენა, რაც ეთერში გააკეთეს რუსულენოვანი არხის თანამშრომლებმა.

ურთიერთობათა გარკვევამდე საქმიანი კონტაქტები შეჩერებულია, განაცხადა საზოგადოებრივმა ტელევიზიამ. ამ განცხადების შემდეგ შაბათს „პიკმა“ შეწყვიტა მაუწყებლობა.

ბიუჯეტით საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის წელს გამოყოფილი იყო 300 მილიონზე მეტი დოლარი, მათგან 8 მილიონზე მეტი გათვალისწინებული იყო „პიკისთვის“, მაგრამ, თანამშრომლების სიტყვებით, საქართველოს პარლამენტის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ „პიკს“ შეუწყვიტეს გადახდები.

საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობა მიუთითებდა იმაზე, რომ მას არ აქვს ფული „პიკისთვის“. „პიკი“ გათვალისწინებული იყო, როგორც საქართველოს რეკლამა რუსეთში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვა ქვეყნებში.

„პიკის“ პირველი სტუმარი შარშან იყო თავად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც განაცხადა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელისუფლება „ამ ტელევიზიას აძლევს მხარდაჭერისა და სრული თავისუფლების გარანტიას“.

არხზე სამუშაოდ მიიწვიეს ცნობილი დასავლელი და რუსი ჟურნალისტები, ვისაც უხდიდნენ დიდ ხელფასებს, განსაკუთრებით ადგილობრივ პერსონალთან შედარებით. კერძოდ, მიიწვიეს ქსენია სობჩაკიც.

მიუხედავად ამისა, „პიკი“ რეგულარულად ახდენდა შემცირებებს, რეორგანიზაციებს, ვინაიდან არხის რეიტინგი არ იყო მაღალი.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

---

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთის სკოლებში აპირებენ შემოიღონ პორნოგრაფიის გაკვეთილები. იგი ამახინჯებს რეალურ სექსზე წარმოდგენას**

თანამედროვე, „ზედმეტად სექსუალიზებულ მსოფლიოში“ ბავშვებს არ ჰყოფნით ჩვევები, რომ თავი გაართვან ცდუნებას, დარწმუნებული არიან პედაგოგები. ამის გამოსასწორებლად სკოლის მოსწავლეებს უკვე ათი წლიდან უნდა ვუამბობდეთ, თუ რას შეიძლება გადაეყარონ ისინი ინტერნეტში, მოზარდებს კი 16 წლიდან განუმარტონ დეტალები, თუ „პორნოსამყარო“ რით განსხვავდება „რეალური სექსის სამყაროსგან“.

**ეგვიპტემ მიაღწია ისრაელსა და ღაზის სექტორს შორის სროლების დროებით შეწყვეტას**



ისრაელის ხელისუფლებამ და „ჰამასის“ მოძრაობის მმართველობამ დადეს არაოფიციალური შეთანხმება ეგრეთ წოდებულ დამშვიდებაზე. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიმშვიდე, უცნობია. ორივე მხარე კვლავ აშინებს ერთმანეთს სიტყვებით.

**ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო მინისტრის მოადგილე დახვრიტეს ნაღმსატყორცნიდან**



კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე კიმ ჩხოლის სიცოცხლე შეეწირა იმას, რომ იგი იმის ნაცვლად, რომ მთელ ხალხთან ერთად გამოეხატა მწუხარება ოფიციალური გლოვის დროს შარშან გარდაცვლილი ქვეყნის ლიდერის კიმ ჩენ ირის გამო, ის „სვამდა და ქეიფობდა“, ამტკიცებენ სეულში. სიკვდილით დასჯის ეგზოტიკური ხერხი, თითქოს, შეარჩია თავად ახალმა ბელადმა.

**აშშ-მ უპასუხა რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის ბრალდებას: სირიაში ამერიკული „სტრინგერები“ მიიღეს საბჭოთა „ისრებად“**

ვიდეოჩანაწერების ანალიზი, რომლებშიც აღბეჭდილია სირიაში შეიარაღების გამოყენების ფაქტები, უჩვენებს, რომ ეს არის „აეს-7“-ის სისტემები, რომლებსაც აწარმოებდნენ ჯერ კიდევ სსრ კავშირში (რუსეთში მათ „ისარ-2“-ს უწოდებენ), განაცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტში. იქ, ისევე როგორც პენტაგონში, ირწმუნებიან, რომ არანაირი „სტრინგერები“ სირიაში არ მიუწოდებიათ და მათ შესთავაზეს გენერალურ შტაბს შეეცა-



# სიბნელე დამთავრდა



## არ შემიძლია არ ვთქვა!

# ქაჯიანობის აღსასრული



2006 წლის ზაფხული წარმოადგენდა სატანის ნაშიერთა წიაღში დაბუდებული ბოროტების ამონთხევის გაუგონარ სიბილწეს. სიბნელის მოციქულები, უცხოური სერტიფიკატ-დიპლომების ფრიალით, ზეკაცების შეუვალობით რისხვად დაატყდნენ ეროვნულ სიწმინდეებს და ფეხქვეშ გაიგეს ყოველივე ფასეული. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ყალბი ლოზუნგებით, ცეცხლითა და მახვილით შემოუტიეს განათლებას, მეცნიერებას, კულტურას. ერს უნერგავდნენ, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყნის სტადიაზე იმყოფებოდა (ამ სათაკილო სტატუსით მოპოვებული მილიონები რა მისამართით მიედინებოდა?ძ.

„ეროვნულმა ნაცისტებმა" საქართველოს ისტორიის საწყის საფეხურად გამოაცხადეს 2003 წლის 23 ნოემბერი, რომელიც მონათლეს ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის" სახელით და სათავე დაუდეს აღვირახსნილ ნიჰილიზმს. გააბატონეს უკანონობა, კანონის დამცველებს დრომოჭმულ და ჩამორჩენილ ადამიანებს უწოდებდნენ. ახალი საქართველოს უმწიფარი მშენებლები, უცხოელ ექსპერტ-პოლიტოლოგთა უაზრო ციტატების მოშველიებით, სარკინოზული გახელებით ებრძოდნენ ქართულ ცნობიერებას და ცხრა წელი აბრუებდნენ შინაურს თუ გარეულს მიღწეული გარდაქმნებით. ცოტაც აკლდა და ერი მიახლოებული იყო გამოქვაბულის კარს. სიცრუეზე აგებული წარმატებული რეფორმების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ძალმომრეობა.

„ვარდების რევოლუციის" ანტიეროვნულ და კაცთმოძულე ცრურეფორმატორთა პირველი სამიზნე გახდა თბილისის უნივერსიტეტი. ქართული განათლებისა და მეცნიერების ტაძარი ღირსეულად აღუდგა წინ ვანდალების შემოსევას. მტერმა ბრძოლის წესები (ამ შემთხვევაში კანონიერებაძ არ დაიცვა და უღირსი მოქმედებით მარტივად გადაწყვიტა ეს ურთულესი პრობლემა. რადგან მისთვის კანონი არ არსებობდა, ხოლო ძალა მის ხელში იყო, უნივერსიტეტი საერთოდ გააუქმა. ლომაია-ხუბუას დამახინჯებული სამართალით დაითხოვეს ყველანი და დანიშნეს ახალი არჩევნები. დააწესეს ასაკობრივი ზღვარი (თვალთმაქცურად აცხადებდნენ, თითქოს ასაკი არ ფიგურირებდაძ და მრავალ თვალსაჩინო მეცნიერს ავტომატურად ჩამოართვეს შეძენილი ცოდნის გადაცემის უფლება. უნივერსიტეტში შემთხვევითი, მაგრამ ნაცისტებისათვის მისაღები პირები აღმოჩნდნენ. ასე გადაჭრეს უცხოურ განათლებას დაუფლებულმა „უსწავლელმა სწავლულებმა" განათლებისა და მეცნიერების მომავალი. მათი აზრით, რევოლუციას განათლება და მეცნიერება არ სჭირდებოდა, რადგან ერისთვის საკმარისი იყო საყველპურო ინგლისურით აღზევებული ნაცისტების მწირი და ზერელე განათლება.

სიმართლის დამცველები დამარცხდნენ. იარაღი მაშინ დაგვანახეს პირველად (შემდეგ მრავალგზის გამოიყენესძ და პროფესორთა „ხულიგნური" და „სამარცხვინო" გამოსვლა ჩააცხრეს. ლომაია-ხუბუას ქვეწარმავლური ზრახვები ტაშის გრიალით მიიღო დამცირებულმა და თვალახვეულმა საზოგადოებამ. „შედრეკილ-შეშინებულები" სოროებში შეიმალნენ და სასხვათაშორისოდ ადევნებდნენ თვალს მტარვალთა ნაჯახების უმისამართო ტრიალს. ხმაგაკმენდილი ერი ისმენდა მაღალი ტრიბუნიდან ღირსეულ ადამიანთა აუგად მოხსენიების შეურაცხმყოფელ სიტყვებს. შერისხულთა მხრიდან პროტესტს ერთეულები გამოთქვამდნენ, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა ხმად უდაბნოსა შინა. უნივერსიტეტის პროფესორთა დიდი ნაწილი (თითქმის ყველა კათედრის გამგეძ წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს და პოლიციის ძალით სამარცხვინოდ გამოაძევეს, უნივერსიტეტის კარები ჩაკეტეს. ნაცისტების კანონდარღვევათა სერიალი ამ ფაქტით დაიწყო. ბოროტმა პილატემ ეკლის გვირგვინი დაწნა და ქართულ სულიერებას შოლტიც გადაუჭირა.

**ნაცისტების მზაკვრობით დამცირებული და ღირსებაშელახული ადამიანების ადგილი დაიკავეს სიცრუის მეხოტბეებმა. თაობათა ცვლის ზოგადი კანონი უკანონოდ დააკანონეს და უნივერსიტეტი გადააქციეს გაუგებარი მასის თავმოყრის ადგილად.**

ნაცისტების მზაკვრობით დამცირებული და ღირსებაშელახული ადამიანების ადგილი დაიკავეს სიცრუის მეხოტბეებმა. თაობათა ცვლის ზოგადი კანონი უკანონოდ დააკანონეს და უნივერსიტეტი გადააქციეს გაუგებარი მასის თავმოყრის ადგილად, რომელსაც რეფორმირებული საგანმანათლებლო სისტემა უწოდეს. მთავარი დამნაშავეები (ა. ლომაია, გ. ხუბუაძ ამაყად აცხადებდნენ, რომ განათლება და მეცნიერება დააყენეს განვითარების ევროპულ გზაზე. სინამდვილეში აღმოჩნდა, როგორი განათლებულებიც ისინი (განათლების რეფორმის მამებიძ იყვნენ, ისეთ განათლებას ჩაუყარეს საფუძველი და უდიდესი დარტყმა მიაყენეს ქართველი ახალგაზრდების სულიერ ცხოვრებას. უნივერსიტეტში დატრიალებული ცოდვა-მადლის პარალელურად, სეირის მაყურებელი ერი იდგა და „მიშა, მიშას " ომახიანი ყიჟინით ზეცას უზიარებდა თავის ბედნიერებას. შედეგად მივიღეთ განებივრებულ ნაცისტთა (და მათთან მიტმასნილთაძ მედიდური პარპაში, ევროპისაკენ მიმავალი გზის გამრუდება და აფრიკის ჯუნგლებისაკენ გადახვევა. ქართული განათლებისა და მეცნიერების ჯალათების ომი ეროვნული ცნობიერების ამოსაშლელად (მათი ბელადის მ. სააკაშვილის იდეების ხორცშესასხმელადძ საოცარი დაუნდობლობით მიმდინარეობდა. „ბრძენი" მამები სერიოზული პოზით გვიქადაგებდნენ, რომ ქართველები ვიყავით სიბნელეში და ვერ ვამჩნევდით. ნაცისტების ცხრაწლიან ბარბაროსობაში უნივერსიტეტის დაკნინების გარდა ფუნქციები შეეკვეცა სკოლასაც. მრისხანე მინისტრმა დ. შაშკინმა სკოლა სასჯელაღმსრულებელ დაწესებულებას გაუთანაბრა და მკაცრი კონტროლის დაწესების მიზნით შექმნა გაუგებრობა, რომელსაც მანდატურთა კორპუსი უწოდა. მისი საგანმანათლებლო ნოვატორობა უფრო შორს წავიდა და ქართველ პედაგოგთა დასამცირებლად, კულტურული მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიწვია მასწავლებლები (ინგლისური ენის მცოდნენი, რომელთა უმრავლესობას თავიანთ ქვეყანაში მასწავლებლობასთან კავშირი არ ჰქონიაძ. რა გამოვიდა აქედან, პასუხი არავის აქვს. ითქვა და გათავდა. ძლიერის სიტყვა არის კანონი. ასე მბრძანებლობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ეს ცხრა წელი დარჩება ჩვენი ისტორიის შავ ლაქად.

2006 წლის ზაფხულში მომხდარი ამბები იმდენად მოულოდნელი იყო ქართული სინამდვილისათვის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომელსაც რეპრესია არ შეხებია, გაუგებრობაზე აგებულ შემთხვევითობად მიიღო და უყურადღებოდ მოეკიდა. გამოხდა ხანი და ანალოგიური სადამსჯელო მიზნით მიადგნენ იმათაც, თავი გადარჩენილი რომ ეგონათ. ყოველივე ხდებოდა გეგმიური თანამიმდევრობით. შესანიშნავად იყენებდნენ „დაჰყავი და იბატონეს" პრინციპს. უნივერსიტეტიდან წამოსული გაფრთხილება გამართლდა. ყველა უმაღლესი სასწავლებელი და კვლევითი ინსტიტუტი პატრიოტული სიტყვების თამაშში დახელოვნებულმა ნაცისტებმა უმოწყალოდ გაააცამტვერეს.

ალმა მატერის ნაცარტუტად ქცევას იმდროინდელი ქართველი სტუდენტობა გასაოცარი გულგრილობით შეხვდა. უფროსი თაობის მხარდასაჭერად ხმა არ დაუძრავთ, არც დაინტერესებულან ეკითხათ თუ რა ხდებოდა. ნაცისტთა ცრურეფორმატორობით მონუსხულებმა წარმოიდგინეს, რომ მათი სახით ყალიბდებოდა თვისობრივად ახალი ტიპის ადამიანი. ენდნენ აბდაუბდა დაპირებების კორიანტელს და ზურგი შეაქციეს კანონიერების დაცვის მთხოვნელებს, რომელთა სახელის გატეხისათვის დიდი მონდომებით იბრძოდა ნაცისტური ხელისუფლების სარეკლამო სისტემა. ამას უნდა დაემატოს ცრურეფორმატორთა „პატრიოტული" ინიციატივა ქუჩების დასუფთავების მოწოდებით (ანაზღაურება 300 ლარიძ. ეროვნული ღირსებების დაცვის ნაცვლად, მენტალიტეტის შესაცვლელად გამიზნული სტუდენტური ცოცხით ხელში დადგნენ თბილისის ქუჩების დასაგველად. ქუჩა დარჩა ქუჩად, უნივერსიტეტი?

**უმწიფარ „მშენებელთა" სიცრუეზე დაფუძნებული ხუხულა დაინგრა. ჩნდება ახალი იმედისა და მომავლის იდეა. არ უნდა დავივიწყოთ ლათინური სიბრძნე: ახალგაზრდა ხარი ხვნას" „ბებერი ხარისაგან სწავლობს".**

დღევანდელი სტუდენტები სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სწავლების დაბალი დონის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დადაბლება გამოიწვია ლომაია-ხუბუას ინკვიზიტორულმა მიდგომამ, რომელთა მიზანს შეადგენდა საუნივერსიტეტო განათლების გაუფასურება. აშკარა გახდა, რომ ცრურეფორმისტულმა ექსპერიმენტებმა ფუნდამენტური დარგები გაუგებრობამდე დაიყვანა. ამ ბოროტების წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა უნივერსიტეტის პროფესორებმა ექვსი წლის წინათ, მაგრამ დამარცხდნენ. უნივერსიტეტს ჩამოაცილეს მთავარი და აქციეს იმად, რომ დღეს არის და კარგად რომ არ არის, მეტყველებს სტუდენტების პროტესტი. ფაქტია, ქართველთა გამოღვიძება განაპირობა „ქართულმა ოცნებამ". 2006 წელს მარტონი ვიდექით. ჩვენ წინ იდგნენ შეიარაღებული პირები (პოლიციელებიძ. საზოგადოების მხრიდან მეტ გამოხმაურებას რომ ჰქონოდა ადგილი, ალბათ, ბევრ შეუსაბამობას ავიცილებდით თავიდან.

უმწიფარ „მშენებელთა" სიცრუეზე დაფუძნებული ხუხულა დაინგრა. ჩნდება ახალი იმედისა და მომავლის იდეა. არ უნდა დავივიწყოთ ლათინური სიბრძნე: ახალგაზრდა ხარი ხვნას" „ბებერი ხარისაგან სწავლობს".

სატანის ნაშიერები 1ოქტომბრის შემდეგაც არ იშლიან გესლის ნთხევას და განათლებისა და მეცნიერების ლეგენდარული მესაფლავის ა. ლომაიას ლექსიკონით მეტყელებას. როდესაც ერი პანაშვიდს უხდის კაცთმოძულეების ეპოქას, ნაცისტების ერთ-ერთმა ნათელმა სახემ, ცნობილმა „ნამუსგაუყიდველმა" კ. ბენდუქიძემ, სამგლოვიარო პროცესიის ჟამს უცერემონიოდ განაცხადა პროფესორების წილნაყარობა ბნელ სამყაროსთან. მომაკვდავიც არ იშლის სიბილწეს. ასეთია „ნამუსგაუყიდველი" კაცის რკინის ლოგიკა.

„მაოხრებელი მკვდარი" მალე მიებარება მიწას. იქნებ გვეღირსოს დღის სინათლე და სამართლიანობა, მაგრამ ვინ დაგვიბრუნებს მორალური შეურაცხყოფით მოყენებულ ზიანს, რომელსაც დღესაც აგრძელებენ „მაოხრებელი მკვდრის" მემკვიდრენი?

ნაცისტებმა უნივერსიტეტის კარში ცერბერი ჩააყენეს. რეფორმატორებმა ტრიუმფით აღნიშნეს თავიანთი გამარჯვება და თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ სტუდენტთა გამოსვლამ ფარდა ახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ლოზუნგით სახელდებულ სიყალბეს. ამ ფასადურ სატყუარაზე პასუხი ვინ უნდა აგოს? ძველის დამხობას და ახლის ვერშექმნას რომელი კანონი ამართლებს? ისტორია დამნაშავეებს შესაფერის სასჯელს გამოუტანს, ეს დროც ძალიან ახლოსაა.

ნაცისტების რბევასგამოვლილებმა, ღვთის წყალობას ისე შაფარეს თავი ქართველთა სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსებულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტს, რომელსაც გახსნის დღიდან სათავეში ედგა და შესანიშნავად წარმართავდა ალმა მატერიდან გამოძევებული პროფ. პ. მარგველაშვილი. აღდგა თბილი, ადამიანური ურთიერთობა თანამშრომლებს შორის, მოშუშდა უსამართლობით მოყენებული ჭრილობა. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. რექტორად დაინიშნა პროფ. ს. ვარდოსანიძე. რბევას შეჩვეულებს თუ რაიმე გაგვაკვირვებდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ კვლავ განმეორდა ლომაია-ხუბუას ავადმოსაგონარი დღეების ანალოგიური ფაქტები. მათ, რომლებიც კრიტიკულ დამოკიდებულებას არ ფარავდნენ და გუნდრუკს არ უკმევდნენ ნაცისტურ რეჟიმს, დაიმსახურეს ხელშეკრულებათა გაუქმება (ნაცისტების თვალში სანდო პირის სახელი რომ განემტკიცებინაძ. პარალელურად ხდებოდა მსოფლიო ისტორიის ფუნდამენტური საგნების შეკვეცა და მათ ხარჯზე დამხმარე ან მოგონილი საგნების ასპარეზის გაფართოება. ყოველივე ეს მიჩნეულია საგანმანათლებლო რეფორმირებულ სისტემაში ჩართვად. კიდევ უფრო სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ისტორიის ცალკეულ პერიოდებს კითხულობენ ლობეყორეს მოდებული პერსონები, რომლებსაც დაკისრებულ დისციპლინებში საკმაოზე ნაკლები კომპეტენცია აქვთ. რექტორი, რომელიც თავს ისტორიკოსს უწოდებს და იმის სპეციალისტს ვერ იპოვის, საიდანაც ისტორია იწყება, რას უნდა მიეწეროს? რომელ საუკუნეში ვართ? ამას ჰქვია საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე დონე?

ბატონ ვარდოსანიძეს ერთ მარტივ შეკითხვას შევკადრებ: დამისახელოს საქართველოში რომისა და საბერძნეთის ისტორიკოსი. კაცმა (და მისმა განსწავლულმა მრჩევლებმაძ ეს თუ არ იცის, მასთან კამათი წყლის ნაყვაა (თუ ფიქრობს, ამ მცირე შენიშვნით დავკმაყოფილდები, შეცდებაძ. მანამდე კარგად დაფიქრდეს და გაიხსენოს, რა შეუთვალა ალკიბიადემ სპარტიდან ათენელებს.

ცოტა გადავუხვიე, მაპატიეთ. რომ არ მეთქვა არ შემეძლო.

დადგა დიდი გამონათების ნანატრი ხანა. ბრუნდება ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული სულიერება. ვიკმაროთ სიბნელესა და სინათლეს შორის ცხოვრება. მთავრდება უხამსი მლიქვნელებისა და მედროვეების ამაზრზენი თარეში. გაჩნდა იმედი, რომ დღეს დაერქმევა დღე, ღამეს – ღამე, ტყუილს – ტყუილი, სიმართლეს – სიმართლე. ისტორიას ბარდება ცრუ დაპირებებისა და სიყალბის თვალთმაქცობა, რომელსაც თვალსა და ხელს შუა გვჩრიდნენ ნაადრევად დაბრძენებული ნაცისტები თავიანთი სწორუპოვარი ბელადის აბდაუბდა სიტყვების უნიჭო პერიფრაზირებით. დასრულდა „მზეჭაბუკების" ცხრაწლიანი გამაღიზიანებელი ყელყელაობა. დასრულდა უცხოელთა „მზეჭაბუკების" ცხრაწლიანი გამაღიზიანებელი ყელყელაობა. დასრულდა „ბრძნულ" რჩევებზე ორიენტირებისა და სანიმუშო რეფორმების ქებათა-ქების ეპოქა.

დამთავრდა სიბნელე, მივესალმოთ სინათლეს.



**გრანი ქავთარია,**
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ვითარება

# რომან ფიფია გაკვირვებულია

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა მერაბ ჟორდანიას განცხადება თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებით. გუშინვე გავრცელდა საფეხბურთო კლუბის „დინამო თბილისის“ საპასუხო განცხადება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:**

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მიმართ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კლუბის ამჟამინდელ და წინამორბედ მესაკუთრეებს შორის არავითარი სადავო საკითხი არ არსებობს და მათ შორის გარიგება მოხდა 2011 წელს კანონმდებლობის სრული დაცვით. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ პერიოდს, მოგახსენებთ, რომ დღევანდელ მესაკუთრეს იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებთან არანაირი კავშირი არა აქვს და შესაბამისად გაუგებარია გამოთქმული პრეტენზიები და მოთხოვნები მის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ყველას აქვს კანონით მინიჭებული უფლება, მიმართოს სასამართლოს.

ს.კ „დინამო თბილისის“ პრეზიდენტი რომან ფიფია გაკვირვებას გამოხატავს მერაბ ჟორდანიას მიერ გავრცელებული განცხადებით. მერაბ ჟორდანია ცოტა ხნის წინათ სტუმრობდა „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზას და რომან ფიფიასთან მაშინდელ და შემდგომ შეხვედრებშიც მსგავსი თემა არ წამოჭრილა.

თაობა

# იწყება დიდი გამოცდა



**დღეს ხორვატეთში იწყება 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან ერთად ელიტრაუნდის ორი საგზურისთვის მასპინძლები, ისლანდიელები და აზერბაიჯანელები ითამაშებენ.**

ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ თავკაცმა კახი კაჭარავამ უმნიშვნელოვანესი ბალკანური გამოცდის ჩასაბარებლად ასეთი შემადგენლობა შეარჩია.

**მეკარეები:** გაბრიელ თეზიძე (საჩხერის „ჩიხურა“-ძ, ბაჩო მიქავა (თბილისის „ლოკომოტივი“-ძ.

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (თბილისის „დინამო“-ძ, ნიკა სანდოხაძე (ქუთაისის „ტორპედო“), ნიკა ჭანტურია (თბილისის „ლოკომოტივი“-ძ, ლაშა დვალი (თბილისის „იბერია“-ძ, ლევან გეგეჭკორი (მარტვილის „მერანი“-ძ.

**ნახევარმცველები:** ავთო ენდელაძე (ზუგდიდის „ბაია“-ძ, გიორგი აბურჯანია (გორის „დილა“-ძ, გურამ სამუშია („ზესტაფონი“-ძ, დავით უზილავა (თბილისის „ვიტ ჯორჯია“-ძ, თემურ მარკოზაშვილი (ქუთაისის „ტორპედო“-ძ, საბა ლობჟანიძე (თბილისის „დინამო“-ძ, ლუკას ჰუფნაგელი (გერმანიის „უნტერჰაჰინგი“-ძ.

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (შვეიცარიის „ვანდიში“-ძ, გიორგი ფანცულაია (ქუთაისის „ტორპედო“-ძ, ვაჟა მათიაშვილი (თბილისის „დინამო“-ძ, ბაჩანა არაბული (თბილისის „საბურთალო“-ძ.

**კალენდარი**

**26 ოქტომბერი.** ხორვატეთი – საქართველო, აზერბაიჯანი – ისლანდია.

**28 ოქტომბერი.** საქართველო – აზერბაიჯანი, ხორვატეთი – ისლანდია.

**31 ოქტომბერი.** საქართველო – ისლანდია, ხორვატეთი – აზერბაიჯანი.

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# ბუნდოვანი პერსპექტივა



**მაშინ, როცა „ბარსელონამ“, „მანჩესტერმა“, „პორტუმ“ და „მალაგამ“ პირველი წრის შემდეგ პრაქტიკულად გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაშის უფლება, მთელი რიგი გრანდები საამისოდ ჯერ კიდევ იბრძვიან. მეტიც, ზოგიერთ მათგანს, ალბათ, ჯგუფურ რაუნდშივე მოუწევს შთამბეჭდავი კოლექციის გამდიდრების ოცნებაზე უარის თქმა.**

ამ მხრივ განსაკუთრებით ბუნდოვანია გათამაშების ფავორიტებად მიჩნეული „მანჩესტერ სიტის“, „ბენფიკასა“ და „იუვენტუსის“ პერსპექტივები. საილუსტრაციოდ III ტურის შეხვედრების შედეგებს გავეცნოთ.



**„ა“ ჯგუფი.** „პორტუ“ – კიევის „დინამო“ 3:2, ზაგრების „დინამო“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:2.

„პორტუ“ – 9, „პარი სენ-ჟერმენი“ – 6, კიევის „დინამო“ – 3, ზაგრების „დინამო“ – 0 ქულა.

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** კიევის „დინამო“ – „პორტუ“, „პარი სენ-ჟერმენი“ – ზაგრების „დინამო“.

**„ბ“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „შალკე“ 0:2, „მონპელიე“ – „ოლიმპიაკოსი“ 1:2.

„შალკე“ – 7, „არსენალი“ – 6, „ოლიმპიაკოსი“ – 3, „მონპელიე“ – 1 ქულა.

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „შალკე“ – „არსენალი“, „ოლიმპიაკოსი“ – „მონპელიე“.

**„გ“ ჯგუფი.** „მალაგა“ – „მილანი“ 1:0, „ზენიტი“ – „ანდერლეხტი“ 1:0.

„მალაგა“ – 9, „მილანი“ – 4, „ზენიტი“ – 3, „ანდერლეხტი“ – 1 ქულა.

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „მილანი“ – „მალაგა“, „ანდერლეხტი“ – „ზენიტი“.

**„დ“ ჯგუფი.** „ბორუსია“ – „რეალი“ 2:1, „აიაქსი“ – „სიტი“ 3:1.

„ბორუსია“ – 7, „რეალი“ – 6, „აიაქსი“ – 3, „სიტი“ – 1 ქულა.

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „რეალი“ – „ბორუსია“, „სიტი“ – „აიაქსი“.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჯაჭვური რეაქცია

# მოჭიდავეები რიგგარეშე ყრილობაზე ალაპარაკდნენ



**საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში წლის ბოლოს რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჩატარდება. ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად არ გავრცელებულა, მაგრამ საჭიდაო წრეებში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენას არ აპირებს.**

ჯერ არავინ არაფერს ამბობს ფედერაციის პრეზიდენტობის თუნდაც ერთი მსურველის შესახებ. თუ ინფორმაცია დადასტურდა და გეწაძემ გადადგომის შესახებ განცხადება მართლაც გააკეთა, მაშინ კანდიდატებს განაცხადის წარსადგენად, სავარაუდოდ, ერთი თვე მიეცემათ და მსურველიც აუცილებლად გამოჩნდება.

წესდების თანახმად, ჭიდაობის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს უნდა მოეწყოს. შეგახსენებთ, რომ წლის ბოლომდე საქართველოში სპორტის თხუთმეტამდე სახეობაში გაიმართება საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. შესაძლოა უახლოეს მომავალში რამდენიმე რიგგარეშე ყრილობაც დაიგეგმოს.

**საკუთარი ინფორმაცია**

ავტოსპორტი

# თვითკრიტიკული ცოცხალი ლეგენდა

**მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა განაცხადა, რომ „ფორმულა-1“-ის რბოლებში დაბრუნების შემდეგ „მერსედესის“ საჯინიბოსთან ერთად ცუდი შედეგები მხოლოდ პირადად მისი ბრალია.**

ამავდროულად, კონცერნ „დაიმლერის“ შეფი დიტერ ცეტშე ლეგენდარულ თანამემამულეს ხელს აფარებს და მიაჩნია, რომ გუნდი ვერ ახერხებს პილოტისთვის კონკურენტუნარიანი ბოლიდის შეთავაზებას.

„როგორც მრბოლები, ავტომობილებისგან დამოუკიდებელნი ვართ. ის, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით ვერ წარიმართა, ჩემი ბრალია და არა – გუნდის. მთავარია, სარკეში ჩახედვისას საკუთარ თავს ვუთხრა, რომ რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ამის თქმის არასდროს შემშინებია.

ისიც ვიცი, რომ „ფორმულა -1“-ის დატოვება თავაწეულს შემიძლია. ჩემი მისია უკვე შესრულებულია და ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით შემიძლია დავტკბე“ – ამბობს „შუმი“.

**მანუჩარ გიორგაძე**



ახალ ამპლუაში



# ზიდანმა მწვრთნელობა არჩია

**ბევრი გააოცა ზინედინ ზიდანის განცხადებამ, რომ იგი აპირებს მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორის პოსტის დატოვებას.**

ცნობისმოყვარეთა ინტერესი ამ დღეებში თვით ტყავის ბურთის ალჟირელმა ფრანგმა დააკმაყოფილა და საკუთარი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „რეალში“ ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე. კარგად ვიცი, შიგნიდან რა დიდებული კლუბია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი ყოველდღიური ადგილი მოედანზეა. ეს ჩემი ვნებაა. ამიტომაც საფრანგეთში დაბრუნება განვიზრახე, რათა მწვრთნელის დიპლომი ავიღო და კარგი სპეციალისტი გავხდე.

მაურინიუსთან არანაირი პრობლემა არ გამაჩნია. პირიქით, ჩვენ ჩინებული ურთიერთობები გვაქვს. მე მქონდა ბედნიერება, მისგან ბევრი რამ მესწავლა და ეს მომავალ საქმიანობაში აუცილებლად გამომადგება“, – დასძინა „ზიზუმ“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**კონფლიქტის ზონა**

# ერგნეთის შეხვედრა ურთიერთბრალდებებით

**ერგნეთში ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა 4 საათს გაგრძელდა და მხარეებმა კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს მომხდარი ინციდენტები განიხილეს. ოსური დელეგაციის ხელმძღვანელი გაგლოითი ზარდიანთკარში პოლიციური საგუშაგოს უკან გადაწევის საკითხს ისევ აყენებს. მისი თქმით, ადგილობრივი ოსური მოსახლეობა მოყვანილ მოსავალს კარგავს და ქართველმა სამართალდამცავებმა ამის გამო პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ. გარდა ამისა, ოსური მხარე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების საკითხს ისევ აყენებს.**

„ჩვენ საგუშაგოს გადატანის საკითხი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მაგრამ ქართული მხარე ამ საკითხში არ გვეთანხმება. ასევე ჩვენი მხრიდან გადაცემული იყო შეშფოთება იმის გამო, რომ იქ, სადაც ოსური მოსახლეობა ცხოვრობს, მოსავლის დაკარგვის შემთხვევებს აქვს ადგილი, ქართული მხარე კი ადრე გვარწმუნებდა, რომ უსაფრთხოება დაცული იქნებოდა“, – აცხადებს გაგლოითი.

შეხვედრის დასასრულს კომენტარი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ანდჟეი ტიშკევიჩმაც გააკეთა. მისი განცხადებით, კონფლიქტის ზონის სოფლებში გახშირდა საქონლის მოპარვის ფაქტები, რაც ბული სროლის დროს პანიკაში ვარდება.

„განვიხილეთ ადგილობრივი მოსახლეობის საკითხები - ისეთი, როგორიცაა ნახირის მოპარვა. ჩვენ არ გვინდა, რომ ეს ხდებოდეს. ჩვენ ასევე განვიხილეთ საკითხი, რომ წინასწარ მოხდეს გაფრთხილება ყველა სამხედრო და სხვა სწავლებების შესახებ, რომლებიც ორივე მხრიდან იგეგმება ხოლმე. ეს იმისთვის, რომ ადამიანებს წინასწარ მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ მათ არ ინერვიულონ“, – აცხადებს ანდჟეი ტიშკევიჩი.

ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური ცენტრის წარმომადგენელმა კახა ქემოკლიძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე შეშფოთებულია რუსი მესაზღვრეების მიერ ქართველების დაკავების გამო. ამჟამად ცხინვალის ციხეში სასჯელს საქართველოს 13 მოქალაქე იხდის, დიდი ნაწილი კი ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით არის დაკავებული. ბოლოს სოფელ კირბალის ტყეში რუსმა მესაზღვრეებმა ამ სოფლის სამი მცხოვრები - გოგი პაპიტაშვილი, აკაკი და გიორგი აბალაკები დააკავეს, რომელთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებასაც ითხოვს ქართული მხარე. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ ყურადღება უპი-



სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. გარდა ამისა, სოფელ ნიქოზიდან მოპარულია სატვირთო მანქანა. ტიშკევიჩი გაკვირვებულია იმის გამო, რომ ამ დრომდე ოსმა სამართალდამცავებმა ეს მანქანა ვერ იპოვეს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მხარეები ერთმანეთს წინასწარ ჩააყენებენ საქმის კურსში სამხედრო სწავლებების დაწყების თაობაზე, რადგან არაინფორმირებული მოსახლეობა ხშირად მოულოდნელად დაწყე-ლოტო საფრენი აპარატების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებზეც გაამახვილა და რუსულ მხარეს ვიდეომასალაც წარუდგინა.

ევროკავშირის დამკვირვებლების განცხადებით, შეხვედრა კონსტრუქციულად მიმდინარეობდა. მომდევნო შეხვედრა ერგნეთში ნოემბრის ბოლოს გაიმართება.

**გოგა აფციაური,**
**რადიო „თავისუფლება“**

**ინფორმაცია**

## ვლადიმერ პუტინს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების იმედი აქვს

**რუსული მედიის ცნობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერ ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრისას პუტინმა განაცხადა, რომ იმედოვნებს რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას ყველა მეზობელთან, მათ შორის საქართველოსთანაც.**

**— რეგიონში სიტუაცია ოდნავ შეიცვალა. იმედი მაქვს, რომ ცვლილება უკეთესობისკენაა და ჩვენ მოვახერხებთ ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობების დამყარებას, — განაცხადა პუტინმა.**

**თუმცა პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი აპირებს მომავალშიც დაეხმაროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას.**

**—რუსეთს განზრახული აქვს, მომავალშიც გაუწიოს სამხრეთ ოსეთს დახმარება, რომელიც აუცილებელია მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად. ჩვენ, როგორც ადრე, ხელს შევუწყობთ როგორც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით, ასევე ინფრასტრუქტურის აღორძინებას რესპუბლიკაში, — განაცხადა პუტინმა და დასძინა, რომ ეს რუსეთისათვის პრინციპული საკითხია, რადგან ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა.**

**შეხვედრის დასასრულს ლეონიდ თიბილოვმა პრეზიდენტი პუტინი ცხინვალში მიიწვია და განაცხადა რომ პრეზიდენტის ვიზიტი ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის იქნებოდა „მოვლენა“, რომელსაც „ვერაფერს შეადარებ“.**

ინტერპრესნიუსი

**დედაქალაქი**





# ქუჩაში, მტვერში წავიქცეთ ყველა?



**ბოლო დროს თბილისში ჩამოსული უამრავი სტუმარიც, თავად თბილისელებიც — თავიანთი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების მიუხედავად, საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ქალაქი საგრძნობლად გალამაზდა, გაკოპწიავდა.**

ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებ, თუმცა კი ბევრ რამეზე საკუთარი აზრი გამაჩნია. ამის თაობაზე მომავალში აუცილებლად მექნება ვრცელი საქმიანი ლაპარაკი კომპეტენტურ ხალხთან – არქიტექტორებთან, მშენებლებთან, ურბანული მოწყობის სპეციალისტებთან – მანამდე კი, ერთი რამ მინდა ვთქვა, რის თაობაზე მარტო მე კი არა, ბევრმა ჩემმა კოლეგებმაც მიაპყრო თავის დროზე საზოგადოების ყურადღება. ესაა, პირველ ყოვლისა, ის მოჩვენებითობა, ხშირ შემთხვევაში ფასადურობა, რომელსაც ნაცმოძრაობის ხელისუფლება, ცხადია, თბილისის მერიის თუ საკრებულოს ხელმძღვანელობის ხელით, წლების განმავლობაში ეწეოდა. ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რასაც, თქვენი ნებართვით, სამომავლოდ გადავდებ, მაგრამ ზოგიერთ რამეზე ახლავე ვიტყვი და ამას, ვფიქრობ, მაინცდამაინც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი არ სჭირდება.

ხიდებს შორის ჩაკვეხებულ ხიდზე არაფერი რომ არ ვთქვა, თბილისის ერთ ძირძველ უბანში დაბადებულს ახლაც მაოგნებს ის მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომელსაც ალმაშენებლის პროსპექტი ახდენს მნახველზე. თავი დავანებოთ იმ სიყალბეს, რასაც იქაური მცხოვრებლები ყოველდღიურად ხედავენ – ერთია ფასადი, მეორე კიდევ იმ ფასადს მიღმა ცხოვრება, ყოველდღიური ყოფა, რომელიც, მერწმუნეთ, ფაქტობრივად, არც ერთ, რატომღაც „იტალიურად“ წოდებულ, მაგრამ შინაარსით იმ თბილისურ ეზოებშია, რომლებითაც ასე თავს იწონებს ჩვენი სათაყვანო დედაქალაქი. ქალაქის შუაგულში ახალ ხიდს თავი რომ დავანებოთ, რომელსაც დეკორატიულის გარდა არანაირი სხვა დატვირთვა არა აქვს, საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე სხვა ხიდები კატასტროფულ მდგომარეობაშია. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რადგან ეს საკითხი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამდენიმე წლის წინათ უკვე მქონდა გამოტანილი, რაზეც ამ მეტად სპეციფიკური დარგის პროფესიონალებმა ილაპარაკეს. ახლა კი იმ ელემენტარულ ვითარებას მინდა მივაქციო ყურადღება, რომელიც იმ გაპიარებულ „ახალშენებს“ ახლავს: ესაა სრულიად მოუწესრიგებელი ტროტუარები, ასევე მანქანების თუ მოქალაქეთა სავალი გზები, რომლებსაც არანაირ ყურადღებას არ აქცევენ წლების მანძილზე არც ქალაქის მესვეურები, არც ადგილობრივი გამგეობები. თუკი ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, თავად შეუძლია დარწმუნდეს, თუკი მარჯანიშვილის მოედნიდან ქუჩის ტროტუარს ზევით აუყვება, თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულად კოლორიტულ ღვინის აღმართს აივლის, რომელიც დედოფალ დარეჯანის სასახლის გვერდითაა , სადაც ახლად დაგებულ ქვაფენილზე იმხელა ღრიჭოებია, კაცს ფეხის მოტეხვას „არაფერი უშლის“. ამნაირი ადგილის მონახვა, სამწუხაროდ, ქალაქში ყველგანაა შესაძლებელი – ასეა თემქაზე, გლდანში, ვაზისუბანში, სოლოლაკში, დიდუბეში, დიღომში, საბურთალოზე, ნაძალადევში, სვანეთის უბანში, მოკლედ რაიონი არ არის, სადაც ეს პრობლემა გამძაფრებული არ იყოს.

ცოტა ხნის წინათ პარლამენტის სხდომაზე მოვისმინეთ ზოგიერთი დეპუტატის აზრი, რომელმაც პრემიერ-მინისტრს შეკითხვის სახით ვითომდა უსაყვედურა – ბიუჯეტში ფული თუ არ იქნება, თქვენ საკუთარი სახსრების დახარჯვას რომ ჰპირდებით ხალხს, მსგავსი რამ მსოფლიოში არ ყოფილაო, ერთი იქნებ განგვიმარტონ, ქალაქის კეთილმოწყობაზე გამიზნული სახსრები სად წავიდა, რატომ დავდივართ ანგრეულ-დანგრეული გზებით? რა, ნუთუ არ გვეკუთვნის გასწორებული გზებით, ტროტუარებით მიმოსვლა? მარტო თბილისობაზე ერთად ყურძნის წურვა ხომ არაა საქმე, რომელსაც ნაცები ასე მონდომებით აკეთებდნენ?

კარგად მესმის, რომ ქილიკი უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება, მაგრამ ხომ თითქოს ქალაქის მოსახლეობის მსახურების აღტკინებით მობრძანდა ის ხალხი საუფროსო ადგილებზე, ახლა სხვებს რომ ესვრიან ტალახს?

ჰოდა, ახლა კეთილი ინებონ და იმათ მაინც არ შეუშალონ ხელი, ვინც ამაზე რეალურად იზრუნებს, საქმეს კი იმ ხალხს გააკეთებინებს, ვისაც ეს ჭეშმარიტად ხელეწიფება.

**ოთარ ტურაბელიძე**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

⊙ დღესასწაული

# ივერიის ღვთისმშობლის ხატი



**26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის (ფოთის) ხსენებას დღესასწაულობს.**

**...ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავენ.**

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842 წ.ძ ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლების საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

...ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქალი, ის ქვრივი იყო; იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა ქვრივის სახლში იპოვეს ეს გადამალული ხატი და ერთ-ერთმა მხედართაგანმა „მახვილი დასცა მას პირსა ხატისა“. მოხდა სასწაული: ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე; დილით კი მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. წმინდა ხატი ზღვის ტალღებზე აღმართული, დასავლეთისკენ გაემართა.

...ერთხელ, მიმწუხრისას ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე შენიშნეს ნათლის სვეტი. ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ, როცა ვინმე მიახლოებას გადაწყვეტდა, ხატი ზღვის ნაპირს შორდებოდა.

გაბრიელ იბერიელმა შეძლო ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამობრძანება. ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს... მაგრამ მეორე დღეს დილას გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ის კვლავ ჩამოაბრძანეს და საკურთხეველში შეაბრძანეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

ივერიის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**

⊙ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალები გაზეთებიდან



### ინტერვიუ თემურ შაშიაშვილთან

„...თუ ივანიშვილი ამ სექტის პარპაშს არ აღკვეთს, მიხეილ სააკაშვილის სექტა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ივანიშვილს პროგრამის განხორციელებაში ხელი შეუშალოს და ჩაუგდოს. გამოვა და იტყვის, თქვენმა გუნდმა საქართველოს მოსახლეობას პირობა ვერ შეუსრულა და ამიტომაც პრემიერ-მინისტრი უნდა გადააყენოთო. პარლამენტი ერთხელ არ მისცემს ხმას ივანიშვილის გადაყენებას, მეორედ არ მისცემს და მესამეჯერ სააკაშვილი ადგება და ამ პარლამენტს დაითხოვს“.

**„ალია“**

### რკინიგზელები გაფიცვით იმუქრებიან

რკინიგზის თანამშრომლები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. ამ მიზნით მათ აქცია გამართეს. ორი საათის განმავლობაში, თბილისში, აფრიკის დასახლებაში მდებარე მახარისხებელი დეპოდან არც ერთი სატვირთო მატარებელი არ დაძრულა. როგორც რკინიგზის თანამშრომლები აცხადებენ, ეს გამაფრთხილებელი გაფიცვაა და მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაფიცვა ფართო მასშტაბს მიიღებს.

**„ახალი თაობა“**

### რუსული ენის პედაგოგები ენის დისკრიმინაციას აპროტესტებენ

განათლების ეროვნული სისტემის მიხედვით რუსული ენის შესწავლა უმეტეს სკოლაში არჩევითია, რაც გაკვეთილის საათების შემცირების და რუსული ენის პედაგოგების დათხოვნის მიზეზი ხდება, რასაც ისინი აპროტესტებენ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ენის დისკრიმინაცია არ მოხდება, თუმცა არც „ძალით წახალისება“ იგეგმება.

**„რეზონანსი“**

⊙ მადლობა

## ღმერთმა დაგლოცოთ!

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო გულისხმიერებისთვის, პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის და თანადგომისთვის თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ონკოლოგიური დისპანსერის ექიმ-პროქტოლოგს ბატონ **ბექა კევლიშვილს**, ექიმ-ანესთეზიოლოგს ქალბატონ **ხათუნა ჩაგანავას**, აგრეთვე ექიმ-რეზიდენტს **ბესიკ მეტონიძეს** და საოპერაციო მედდას **ნანა ჟანტურიძეს**, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს და ა/წ 15 ოქტომბერს გამიკეთეს ურთულესი, სასწრაფო-გადაუდებელი ოპერაცია. ამით მათ შემინარჩუნეს სიცოცხლე.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო სადაზღვევო კომპანია **„არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“**, რომელმაც დაფარა აღნიშნული ოპერაციის თანხა.

**ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს ასეთი პროფესიონალი, სათნო და კეთილი ადამიანები.**

პატივისცემით, პენსიონერი
**ლეილა კუპატაძე**

⊙ დაიჯესტი

## მთავარი, მაინც ცხოვრების პირობებია



**ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ათასხუთასი ას წელს გადაბიჯებული ადამიანი გამოიკვლიეს, დასკვნა გამოიტანეს, რომ შემოდგომაზე დაბადებული ბავშვები სხვებზე უფრო ხშირად დიდ ხანს ცოცხლობენ.**

ვარაუდობენ, რომ გაზაფხულისთვის შემოდგომაზე დაბადებული ბავშვები უფრო მოყოჩაღებულნი არიან, ამიტომ სეზონურ ინფექციებს, რომლებიც ორგანიზმს დიდად ფიტავენ, ისინი ახლად დაბადებულებზე უკეთ იტანენ.

ამასთან, ზოგიერთი პრაქტიკოსი ექიმი-გინეკოლოგის აზრით, გაცილებით უფრო ჯანმრთელები არიან შემოდგომაზე არა დაბადებული, არამედ ჩასახული ბავშვები. მათი მთავარი ორგანოები და სისტემები დედის მუცელში ყალიბდებიან, რა დროსაც უმნიშვნელოვანესია ორსულობის პირველი სამი თვე. თუკი ბავშვი ზაფხულის შემდეგაა ჩასახული, როცა მომავალი დედა დასვენებულია, კარგი ნაკვებია და დადებითი ემოციებით დამუხტული, სიმხნევის მუხტი პატარასაც გადაეცემა, ხოლო იცოცხლებს თუ არა ბავშვი დიდ ხანს, ეს გარემოზე, ავადმყოფობებზე, საკვების ხარისხსა და კიდევ მრავალ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს – 247-57-79.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

⊙ კადრი




⊙ ანეკდოტები

**კაიზერ ფრანც იოსების მთავრობამ, რომელსაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, გადაწყვიტა, რომ მსხვილ ებრაელ ბანკირისგან ფული ესესხა.**

**ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას პირველმა მინისტრმა ბანკირს ყურში ჩასჩურჩულა:**

**— თქვენი ვაჟი საშიში ანარქისტია. კარგი იქნება, თუ საზღვარგარეთ გააგზავნით, თორემ იძულებული ვიქნებით, იგი დავაპატიმროთ.**



**ამის გაგონებაზე ბანკირმა ოქროს კალამი მაგიდაზე დადო:**

**— ხელს არ მოვაწერ. სესხი უქმდება.**

**— რატომ? — ნუთუ არ ენდობით ავსტრიის მონარქიას?**

**— არ ვენდობი. აბა რა მონარქიაა იგი, თუ ჩემი ვაჟისა ეშინია?**

* * *

**უმჯობესია, არ გესმოდეს ხუმრობა, ვიდრე ის, რომ არ გესმოდეს, თუ როდის არ ხუმრობენ.**

* * *

**— მიხო, გაიგე, რომ ნიკა გარდაიცვალა?**
**— როდის?**
**— წუხელ, სამ საათზე.**
**— კი, მაგრამ მაშინ არ ეძინა?**

* * *

**— მიხო, შეგიძლია, რომ საიდუმლო შემინახო?**
**— თუ არ მეტყვი, კი...**

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
**ალეკო ასლანიშვილი**
**299-62-77; 599 56-81-86**

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24